ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 41-Ე ᲬᲚᲘ № 264 (11875) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1960 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲐᲡᲔ ᲕᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘᲗ, ᲐᲡᲔ ᲕᲛᲐᲦᲚᲓᲔᲑᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის დამპროექტებლებმა და კონსტრუქტორებმა დაამთავრეს რკალერძიანი ელექტრომავლის 5-Გ მოდერნიზაციის ახალი პროექტებისა და სამუშაო ნახაზების დამუშავება.

საპროექტო მასალების მიხედვით ახალ ელექტრომავალს ამჟამად სეროიულ წარმოებაში მყოფ ელმავალთან შედარებით ექნება 10 ტონით ნაკლები წონა, ხოლო სიმძლავრე — 25 პროცენტით მეტი.

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ რაიონის მეცხრეტუსეებმა იკისრეს წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიაყიდონ 70 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი. უკვე დაიწყო მასობრივი კრეფა. ყოველდღეურად რამდენიმე ათეული ტონა პროდუქციას აბარებენ შემფუთველ ქარხნებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილ გამოთვლითს ცენტრში საანგარიშო მანქანების საშუალებით ამოიხსნა ბევრი ამოცანა, რომლებიც გამოყენებას ჰპოვებენ მეცნიერების სხვადასხვა დარგებში და ტექნიკაში.

ჩვენი მეცნიერული და ტექნიკური ძალები გაცხოველებით მუშაობენ, რათა განახორციელონ მანქანური თარგმნა რუსულიდან ქართულ ენაზე. ამას დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ სკოლის კავშირის განმტკიცების შესახებ კანონის შესაბამისად რესპუბლიკის სკოლებში შეიქმნა [illegible]ობით სხვადასხვა სახელოსნო, 369 მანქანათმცოდნეობის კაბინეტი, 185 ელექტროტექნიკის კაბინეტი. მარტო წელს [illegible]ეტით 17 მილიონი მაეთი იხარჯება კაბინეტების, ლაბორატორიებისა და სახელოსნოებისათვის მოწყობილობის [illegible]ისაძენად.

ᲧᲘᲗᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲨᲘ ახლახან ხარაჩოები ჩამოხსნეს სამანეულიან ლამაზ შენობას, რომელიც განკუთვნილია რაიონის მეშა-მოსამსახურეებისათვის. ამ უკანასკნელ პერიოდში აშენდა და რაიონის ცენტრი დაამშვენა აგრეთვე სამმართო კინოთეატრის შენობამ, რომელიც 500-ზე მეტ მაყურებელს იტევს. მშენებლობის პროცესშია და მალე დამთავრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, [illegible]ში გაიხსნება სხვადასხვა სახელოსნო.

ᲪᲐᲚᲔᲜᲘᲠᲘᲡ რაიონის კოლმეურნეობათა ბაღებში საშემოგომო სამუშაოები ფართოდ გაშალეს. რიგთაშორის ნიადაგის ხვნას შეუდგა ქსუსის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის ბაღი 100 ჰექტარზეა გადაშლილი. ჰექტარობს კვალდაკვალ მისდევენ ზეგალეები. ისინი [illegible]ამობენ ძირებს გასუფთავებას, შემბარვას და გასხვლას.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲚᲐᲣᲚᲝ [illegible]ᲝᲡᲤᲔᲠᲝ, რომელშიც 12 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნა უკრაინული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. [illegible]ელი შეხვედრის მოელვარებით როდი აიხსნება. ამ დღეს [illegible]ᲛᲜᲔᲚᲗᲡ შეხვდნენ შრომაში, სიხარულში, გაჭირვებაში ნაცადი [illegible]ᲝᲑᲠᲔᲑᲘ, ძმები, რომლებმაც სამუდამოდ დაუკავშირეს ერთმანეთს თავიანთი ბედი.

[illegible]ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ მდიდარია დეკადის პროგრამა. მოსკოვმა [illegible]ᲛᲠᲗᲔᲡ დაუთმო თავისი საუკეთესო თეატრები და საკონცერტო [illegible]ᲠᲑᲐᲜᲔᲑᲘ. როგორც ყოველთვის, მოძმე ხალხთა ლიტერატურისა [illegible] ხელოვნების დღესასწაულებზე ᲮᲔᲝᲛᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ გახდა სსრ კავშირის დიდი თეატრი. აქ მიდიოდა გ. მაიბოროდას ოპერა „არსენალი“ უკრაინის ტ. შევჩენკოს ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა შესრულებით, მაყურებლების წინაშე თითქოს გაცოცხლდნენ [illegible]რაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიის გმირული ფურცლები. სწორედ ამ ამბებისადმი მიძღვნილი ეს ოპერა, [illegible]ᲛᲔᲚᲘᲪ ოქტომბრის დღესასწაულის წინ აჩვენეს კიევში.

[illegible]ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ მოსკოველები გაეცნენ ი. ფრანკოს სახელობის უკრაინული დრამატული თეატრის, ტ. შევჩენკოს სახელობის ხარკოვის [illegible]ᲛᲐᲢᲣᲚᲘ თეატრის, ლესია უკრაინკას სახელობის კიევის დრამატული [illegible]ᲚᲘ რუსული თეატრის დადგმებს. ნიჟეური უკრაინული ხალხის [illegible]ᲡᲐᲜᲨᲜᲐᲕᲘ ხელოვნება აჩვენეს ბევრ საკონცერტო დარბაზსა და [illegible]ᲚᲢᲝᲠᲘᲡ სახლში.

[illegible]ᲓᲔᲙᲐᲓᲘᲡ მონაწილენი სსრ კავშირის დიდ თეატრში მხურვალედ [illegible]ᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ტაშს ოპერა „არსენალის“ დამსწრე ამხანაგებს ა. ბ. არიᲝᲕᲘ, ლ. ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ, ნ. გ. ᲘᲒᲜᲐᲢᲝᲕᲘ, ფ. რ. ᲙᲝᲬᲚᲝᲕᲘ, ა. ნ. ᲙᲘᲡᲘᲚᲝᲕᲘ, [illegible]ᲜᲘ, ო. ვ. ᲙᲣᲗᲣᲡᲘᲜᲘᲜᲘ, ა. ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ, ნ. ᲐᲛ. ᲛᲣᲮᲘᲩᲓᲔᲜᲘᲜᲘ, ნ. ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲜᲘ, დ. ს. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ, ᲔᲚ. ᲐᲛ. ᲡᲣᲚᲡᲚᲝᲕᲘ, ᲔᲚ. ᲐᲛ. ᲤᲣᲠᲪᲔᲕᲐᲡ, ნ. ს. [illegible]ᲠᲜᲘᲜᲘ, დ. ს. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲜᲘᲡᲙᲘᲡ, ᲔᲚ. ᲐᲛ. ᲡᲣᲚᲡᲚᲝᲕᲘ, ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ [illegible]ᲣᲨᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐ. ᲔᲜ. ᲞᲝᲡᲢᲠᲘᲜᲘᲡ, ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ [illegible]ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲘᲡ [illegible]ᲠᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲠᲒᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲘᲡ [illegible]ᲠᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ [illegible]ᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

[illegible]ᲝᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲐᲛᲑᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ [illegible]ᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

[

საერთაშორისო ცხოვრება
ლეკციები, ცნობები, მიმოხილვა

ფ. კასტრო: რევოლუცია რწმენით მიდის წინ

ჰავანა, 11 ნოემბერი (საკადესი). უკანასკნელ ხანს ჰავანაში გაიმართა ხელოვნისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა, ნავსადგურისა და ტრანსპორტის მუშათა, ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირულ ფედერაციათა საგანგებო კონგრესები. კონგრესებმა ჩაიარეს რევოლუციური მთავრობის გარშემო კუბელ მშრომელთა ერთიანობისა და შეკავშირების ნიშნით.

8 ნოემბრის კუბის მრავალი ათასი მშრომელის დასწრებით ჰავანის სპორტულ ქალაქში გაიმართა საზეიმო აქტი, მიძღვნილი ამ საგანგებო კონგრესების დახურვისადმი.

სიტყვები წარმოთქვეს პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა. მათ გამოთქვეს კუბელთა უარყვა გადაწყვეტილება მთელი ძალლონე მოახმარონ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეს, ეკონომიკის განმტკიცებას. პროფკავშირულ ფედერაციათა წარმომადგენლებმა კუბის პრემიერ-მინისტრს ფიდელ კასტროს გადასცეს 145 ათასზე მეტი პეტო, რაც ნებაყოფლობით შეგროვეს მშრომელებმა, რათა შეიძინონ იარაღი და თვითმფრინავები კუბის რევოლუციის დასაცავად. განახორციელონ აგრარული რეფორმა და განავითარონ სოფლის მეურნეობა.

დასასრულ ვრცელი სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ. მან აღნიშნა, რომ რადგან კუბელ ხალხს ემუქრებიან იმპერიალიზმი და მასთან სამსახურში მყოფი კონტრრევოლუციური ძალები, იგი იძულებულია შეეჩვიოს იარაღით ხელში ცხოვრებას, რათა ყველ მომენტში გაეწიოს წინააღმდეგობა ინტერვენტებს. ახლა ჩვენ გვესაჭიროება იარაღი, თქვა კასტრომ, და იმიტომ შეეიძინეთ, რომ დავიცვათ სამშობლო და რევოლუცია.

შეკრებილთა ტაშისა და მათი იმ შეძახილების პასუხად, რომ რაკეტებით დაიცვან კუბა, ფიდელ კასტრომ, კერძოდ, განაცხადა: ნუ ლაპარაკობთ რაკეტებზე და აი რატომ. ძალიან ადვილია ფიქრი ანა იმაზე, რომ ჩვენ სამ-ოთხჯერ გავადიოთ საკუთარი ღონისძიებანი, არამედ იმაზე, რომ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ იქნება მიმართული რაკეტები. ჩვენ რაც შეიძლება ნაკლები უნდა ვალაპარაკოთ რაკეტებზე, რათა არ შეეშინათ ხალხში თვითდამშვიდება. რათა არ მოვიდუნოთ ჩვენი ხალხის მისწრაფება წინააღმდეგობისაკენ. ამას გარდა, თუ ჩვენ არ გვინდა, რომ ეს რაკეტები ოდესმე ატომური ომის ტრაგედია მსოფლიოში ჩვენს მიწაწყალზე თავდასხმის შედეგად, გვაქვს ერთადერთი გზა თავიდან ავიცილოთ ეს — ჩვენ ძლიერი უნდა ვიყოთ. იყო სუსტი — ეს იგივეა, რომ მოვიწვიოთ მტერი თავს დაგვესხას, იმპერიალიზმის თავდასხმა კი მსოფლიოში გამოიწვევდა ომს.

ფიდელ კასტრომ აღნიშნა, რომ თუ კუბის მტრები შეიგნებენ, რომ მისი დაპყრობა არ შეიძლება ერთ დღეში, რომ კუბაში წარმატება არ ექნება არავითარ ულვისებურ ომს, არავითარ „ბლიცკრიგს“, აგრესიის შესაძლებლობა შეიცრდება. საერთაშორისო სოლიდარობას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ ჩვენ თვითონ არ გვექნება უხარი აგრესიის დაწყებისთანავე გავუწიოთ მას შეუპოვარი და დაუძლეველი წინააღმდეგობა, განაგრძო მან. ამიტომ ჩვენ უნდა შევავნოთ ჩვენი საკუთარი მომზადების დიდი მნიშვნელობა — ამით შევამცირებთ ჩვენს წინააღმდეგ აგრესიის შესაძლებლობას.

ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ ორი-სამი კვირის წინათ, მან გააფრთხილა კუბელი ხალხი, რომ შესაძლოა თავს დაესხან კუბას, რადგანაც სწორედ ამ მიზნით მოამზადეს გვატემალაში მოლალატე ელემენტებისაგან შემდგარი ჯარები, ხომალდები და თვითმფრინავები დესანტთა გადასასხმელად კუბის ტერიტორიაზე. ამას გარდა, აღნიშნა მან, დღეები, რომლებიც წინ უძღოდა არჩევნებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყველაზე კრიზისული დღეები იყო, რამდენადაც არსებობდა იდეა კუბის წინააღმდეგ აგრესიის გზით მოეხდინათ გაკვლევა არჩევნების მსვლელობაზე.

რევოლუციურმა მთავრობამ, თქვა კასტრომ, ამხილა ეს გეგმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში; მან გამოიყენა ყველა საშუალება, რათა თავიდან აეცილებინა თავდასხმა, ამ მიზნით მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე ამხილა აგრესია, რომელსაც ამზადებენ, და მტკიცედ განახორციელა აგრესიისათვის წინააღმდეგობის მომზადების გეგმები. და იმის მიზეზი, რომ ამ დღეებში თავს არ დაესხენ კუბას, აღნიშნა კასტრომ, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვამხილეთ აგრესიის მომზადება, აგრეთვე ამის მიზეზია მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის უდიდესი და სულ უფრო მზარდი სოლიდარობა, წინააღმდეგობის სულისკვეთება ლათინურ ამერიკაში.

კასტრომ აღნიშნა, რომ განელილ ორ კვირაში შეიქმნა ყველა შესაძლებლობა კუბის დასაცავად მომზადებისათვის, და რომ დღიდი დღე, რევოლუციის მტრებს სულ უფრო გაუძელდებათ მოახდინონ ავანტიურა კუბის წინააღმდეგ; დრო ყოველთვის რევოლუციის მხარეზეა, და რევოლუციებმა იციან, როგორ გამოიყენონ ეს დრო.

ჩვენი აზლნდელი მდგომარეობა, ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ კასტრომ, მტკიცე და მყარია: ხალხს შეეძლია დამშვიდებული და რწმენით აღსავსე იყოს, არა მარტო ედაქალაქში, არამედ მთელ რესპუბლიკაში მიღებულია სერიოზული ღონისძიებანი რევოლუციის დასაცავად, ამჟამად ათასობით კუბელი იმყოფება ბანაკებში, სადაც სწავლობენ სპეციალური იარაღის ხმარებას. შემნილია ჩინებული არმია, ნამდვილად სახალხო არმია. ეს უწინარეს ყოვლისა მეამბოხეთა არმიაა, რომელიც თავის მხრივ ქმნის მუშათა, გლეხთა, ყველა პატრიოტის დისციპლინიან არმიას.

შემდეგ კასტრომ აღნიშნა: ჩვენ ნათლად უნდა ვეუჩვენოთ რევოლუციის მტრებს, რომ მზად ვართ ძლევამოსილი ბრძოლისათვის, როგორც შეიიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ, ისე ეკონომიური აგრესიის წინააღმდეგ, იზოლაციისა და შიმშილის კამპანიის წინააღმდეგ.

შეეხო რა იმას, რომ შინაური და საერთაშორისო რეაქცია უარს არ იტყვის რევოლუციის ჩახშობის გეგმებზე, კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამისათვის იმპერიალიზმი გამოიყენებს აგრეთვე ეკონომიური დათრგუნვის ტაქტიკას, ოთა შიმშილის მეშვეობით აიძულოს კუბელი ხალხი, დანებდეს, მაგრამ, როგორც კასტრომ აღნიშნა, ეს ტაქტიკაც არ მოუტანს იმპერიალიზმს სასურველ შედეგებს.

ამბილა რა სხვადასხვა ხმები, რომლებსაც რევოლუციის მტრები აგრესიულად, რათა შეცდომაში შეიყვანონ მოსახლეობა და დათესონ უნდობლობა რევოლუციური მთავრობისა და მისი საქმიანობისადმი, კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა: რევოლუცია მტკიცე რწმენით მიდის წინ. ჩვენ ჩვენი ხალხის ღირსეულ საქმეს ვაკეთებთ და ვიცით, როგორ დავიცვათ ჩვენი საქმე, შეუძლებელია დაახვრიონ ის, რასაც ქმნის ხალხი და რასაც იცავს იგი.

• • •

სურათზე: ფიდელ კასტრო ჰავანაში ამბოხებული რაზმების შესვლის დღეს.

ფოტო ა. ხიმენესის წიგნიდან „კუნძულების განთავისუფლება“.

ვის ეკუთვნის კანონიერი რწმუნებება?

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ დილის სხდომაზე პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ცეილონს წარმომადგენელმა კორეამ განაცხადა, რომ აღარ არიან ჩაწერილი ორატორები კომიტეტში განსახილველ საკითხზე საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. მან შეიტანა წინადადება, რომ არ დაიწყოს კონკრეტული განხილვა არსებული რეზოლუციებისა განიარაღების პრობლემის შესახებ, რათა საშუალება მიეცეთ ამ რეზოლუციების ავტორებს წინასწარ მოითათბირონ ერთმანეთის შორის. როგორც კი დამთავრდება წინასწარი მოლაპარაკება რეზოლუციების ავტორთა შორის, განაცხადა მან, კომიტეტი განაახლებს განიარაღების პრობლემის განხილვას.

კორეას წინადადების წინააღმდეგ არც ერთი დელეგაცია არ გამოსულა და იგი მიღებულ იქნა ერთხმად.

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ ნაშუადღეს გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა. დღის წესრიგშია საკითხი უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრების არჩევნების შესახებ.

პირველმა სიტყვა აიღო ნიგერიის წარმომადგენელმა, რომელმაც წინადადება შეიტანა, რომ გადადოს უშიშროების საბჭოს და ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრების არჩევნები, რამდენადაც სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდება დისკუსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამ ორი ორგანოს შემადგენლობის გაფართოების საკითხზე. ნიგერიის დელეგაციის წინადადებას კენჭი უყარეს და იგი მიღებულია 51 ხმით 38 ხმის წინააღმდეგ (9 დელეგაციამ თავი შეიკავა). აფრიკა-აზიის ქვეყნებისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების დელეგაციებმა ხმა მისცეს ნიგერიის წინადადებას, დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ — წინააღმდეგ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა კვლავ შეიარაღება უშიშროების საბჭოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს წევრების არჩევნების საკითხზე ორშაბათს 14 ნოემბერს.

გადატრიალება სამხრეთ ვიეტნამში

პანოი, 11 ნოემბერი. (საკადესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, დღეს დილით ადრე საიგონში მოხდა სამხედრო გადატრიალება. ქალაქში დაბანაკებულმა ჯარის ნაწილებმა და პოლიციამ გაიალაშქრეს ნგო დინ დიემის წინააღმდეგ, გარს შემოერტყნენ მის რეზიდენციას და მოითხოვეს სამხრეთ ვიეტნამელი დიქტატორის გადადგომა. აჯანყებულთა მოკმედებას ხელმძღვანელობდნენ პარაშუტისტთა პირველი ბატალიონის მეთაური ვონგ ვან დონგი და პოლიციის პოლკოვნიკი ნგუენ ტიან ტი.

პრეზიდენტის სასახლისა და ეროვნული კრების შენობის წინაშე ნგო დინ დიემი გააფთრებული შეტაკება, რის შედეგად მოკლულია რამდენიმე ათეული კაცი. აჯანყებულებმა სწრაფად დაიკავეს მთავრობის ყველა დაწესებულება და დაატყვევეს ერთი ნგო დინ დიემის კაბინეტის ზოგიერთი წევრი. თვითონ ნგო დინ დიემმა, რომელიც თავის რეზიდენციაში დაიმალა, რადიოთი მიმართა დახმარებისათვის მე-5 სამხედრო ოლქის სარდლობას და სთხოვა სასწრაფოდ გამოგზავნონ ჯავშანსატანკო ნაწილები საიგონში ქალაქ მიტხოდან, რომელიც ორმოც მილზეა საიგონის სამხრეთით. მაგრამ, როცა ეს ნაწილები საიგონში მივიდნენ, ისინი შეუერთდნენ აჯანყებულებს, რომლებსაც, როგორც გადატრიალების ხელმძღვანელები ამტკიცებენ, მხარს უჭერს სამხრეთ ვიეტნამის მთელი 150-ათასიანი არმია.

გადატრიალების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვონგ ვან დონგი დღისით ეწვია ამერიკის სამხედრო მისიას, რომელიც სამხედრო დახმარებას უწევს სამხრეთ ვიეტნამს, და განუცხადა მას, რომ მთავრობა, რომლის შექმნას იგი აპირებს, გაანაწილებელებს ისეთსავე სისტემას „ანტიკომუნისტურ კურსს“, როგორსაც ნგო დინ დიემი ახორციელებდა.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საიგონში, რომელსაც ეშინია, რომ ეს გადატრიალება შეიძლება გადაიქცეს სყოველთაო სახალხო აჯანყებად პროამერიკიული რეჟიმის წინააღმდეგ, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თავიდან აიცილოს შემდგომი შეტაკება აჯანყებულებსა და იმ ნაწილებს შორის, რომლებიც ნგო დინ დიემის ერთგული დარჩნენ.

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი. (საკადესი). იუნაიტედ პრესის საგაზეთოს ტაიბეელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს ტაიბეიდან (ტაივანი) სპეციალური თვითმფრინავით საიგონს გაფრინდა წყნარ ოკეანეში ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდალი ადმირალი ფელტი.

ლონდონი, 11 ნოემბერი. (საკადესი). როგორც რეიტერის საგაზეთოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, დღეს სალამოს „სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა“, რომელიც საიგონში შექმნეს აჯანყებულებმა, თავის მიმართვაში რადიოთი გამოაცხადა, რომ პრეზიდენტმა ნგო დინ დიემმა კაპიტულაცია მოახდინა. მაგრამ, აღნიშნავს კორესპონდენტი, ნგო დინ დიემთან ახლო მდგომი წრეები უარყოფენ ამას.

საღამოს ბრძოლები ქალაქში შენელდა. ნგო დინ დიემი ჩაიკეტა თავის რეზიდენციაში, რომელსაც ახლა გარს არტყია აჯანყებულთა ტანკები და ჯავშნიანი მანქანები. მისი თანამემგზეები სასწრაფოდ წვავენ მთელ დოკუმენტებს.

ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲒᲔᲓᲘ

ვაშინგტონი, 12 ნოემბერი. საკადესის კორესპონდენტი მ. სალათელიანი იუწყება: ამ დღეებში სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოში პოლიციიდან დაიტაცეს „მოღალატე, გეთაყვათ, მუნიციპალური ჰოსპიტალში, სადაც ჩვენ ეს-ეს არის მოვიყვანეთ ადამიანი, რომელიც თავისთავს სამ ბანაკში მოქალაქეს უწოდებს“, — თავაზიანად სთხოვა საელჩოს საკონსულო განყოფილების წარმომადგენელს პოლიციის ოფიცერმა.

როცა საკონსულო განყოფილების თანამშრომელი ჰოსპიტალში მივიდა, მას თვალნინ წარმოუდგა სამეალო ტანსაც გამელოტებული ორმოცი წლის შავგვრემანი კაცი, მეტისმეტად მოთენთილი სახით.

ეს ძლიერ მოხრილი ადამიანი სკამზე იჯდა და რაღაცას გაურკვეველად ლუღლუღებდა, ფიზიკურო უკნურად და ტანჯულად იხედებოდა გარშემო. „ხელნე მიმლიან, რათა მიგიყო ჩემი მილიონი დოლარი შვეიცარიის ბანკში. ეს-ეს არის უნდა გამომგზავნონ ამ ფულის ბეჭი“, — გაიძახოდა ხანდახან.

მის მახლობლად კი ორი სანიტარი ყურადღებით აკვირდებდა თვალყურს მის ყოველ მოძრაობას — აქ ჰოსპიტალს ფსიქიატრიული განყოფილება იყო. სკამზე ჯ�ადამიანი დაავადებული იყო წყნარი შიზოფრენიით, რაც ძმიმე და თითქმის კურნებელი სენია.

ზოგჯერ იგი უთავბოლო ლაქაქს უიცრად წყვეტდა და დროებით ცნობიერება ტბრუნდებოდა, როცა შეეძლო ელაპარაკა, ეშესჯელა, როგორც სავსებით ნორმალურ ადამიანს. სწორედ ამ მომენტში საბჭოთა წარმომადგენლებმა შეძლეს გამოეცნოთ მისი ნამდვილი პიროვნება. აღმოჩნდა, რომ ჩვენს წარმომადგენლთა წინაშე იდგა ბ. ვ. ივანკოვნიკოლოვი — ყოფილი უფროსი საბჭოთა ტანკერ „ტუაფსეს“ რადიოსადგურისა, რომელიც 1954 წელს ხელში ჩაიგდეს ჩანკაიშელმა მეკობრეებმა.

როგორც ცნობილია, ტანკერის ეკიპაჟის დიდი ნაწილი ჩანკაიშელთა საკონცენტრაციო ბანაკებში ხანგრძლივი წამების შემდეგ საბჭოთა მთავრობის მეცადინეობით სამშობლოში დაბრუნდა. მაგრამ მიხეილ ივანკოვი სხვანაირად მოიქცა. ტანკერის ხელში ჩაგდებისთანავე მან ულალატა სამშობლოს და ჩანკაიშელებმა და მათმა ამერიკელმა ბატონებმა იგი მაშინვე გამოიყენეს.

1956 წელს ამერიკელთა წინაშე დამსახურებისათვის მ. ივანკოვს ტანკერ „ტუაფსეს“ სხვა ყოფილ ბეზღვაურთა ჯგუფთან ერთად ნება დაერთო საცხოვრებლად ჩასულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაგრამ მასთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასული მეზღვაურები უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში. ისინი სწორედ იმიტომ დათანხმდნენ წასულიყვნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ხელი მოაწერეს, განაცხადეს სამშობლოს ღალატზე, რათა მოხვედრილიყვნენ ის ამ ქვეყანაში, სადაც საბჭოთა საელჩო იყო, რომელსაც მიმართავდნენ დახმარებისათვის.

ივანკოვი სხვაგვარად მოიქცა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლისთანავე ამერიკის ხელისუფლებმა დაიწყეს მისი გამოყენება ბოროტი ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის, იმისათვის, რომ გაეკრცელებინათ „თვითმხილველის“ სიცრუე „საბჭოთა ცხოვრების კოშმარების“ შესახებ.

ასე განვლო ორმა წელიწადმა. ივანკოვის ანტისაბჭოთა ცილისწამებას არავითარი წარმატება არ მოუყოლია. მართლაც, რომელი გონიერი ადამიანი დაუჯერებდა ამ ქაღის ნაამბობს „რუსების ბოროტებისა და ჩამორჩენილობის“ შესახებ,

და აი, დადგა დღე, როცა ივანკოვი უკვე ალარ იყო საჭირო თავისი ამერიკელი ბატონებისათვის. შეწყდა მისი ცილისმწამებლური „ლექციები“, ბუნებრივია შეწყდა მისი მაბოხოვრული გასამრჯელოც. საჭირო გახდა ეფიქრა იმაზე, თუ როგორ ეშოვნა ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის სარჩენად ფული ზრომის გზით. და ივანკოვმა, რომელიც მისი ამხანაგების სიტყვით, ცუდი რადიოსპეციალისტი როდი იყო, შეძლო მუშაობა დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის ერთ პატარა კაფეტერიუმში, სადაც კვირაში 27 დოლარად ჭურჭელს რეცხავდა.

მძიმე ცხოვრების შედეგად იგი ფსიქიურად დაავადდა,

ისეთივ ბედი სამშობლოს მოღალატისა.

ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ

მისალმებებითა და მილოცვებით, რომლებიც საბჭოთა კავშირს მოსდის ამ დღეებში დიდი ოქტომბრის 43 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით, აისახა ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის და გავლენის უდიდესი ზრდა, მადლიერება საბჭოთა ხალხისადმი იმისათვის, რომ იგი განუხრელად და თანმიმდევრულად ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას — იცავს ყველა მშრომელის საარსებო ინტერესებს.

საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ლენინურ საგარეო პოლიტიკას მსოფლიოს ხალხები უკავშირებენ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრის — მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას. საერთაშორისო ცხოვრების ბევრი კონკრეტული მაგალითით ხალხები ხედავენ, თუ როგორ ხდება მსოფლიო სოციალისტური სისტემა ამყამად ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი.

იძულებული არიან ამას ანგარიში გაუწიონ იმპერიალისტებმა, მათმა იდეოლოგებმა და დამცველებმა. განიხილავს რა ცვლილებებს, რომლებიც მოხდა მსოფლიოში 43 წლის მანძილზე, ამერიკის უდიდესი საგაზეთო ტრესტის „სკრიპს-ჰოვარდის“ დიპლომატიური კორესპონდენტი შეკფორდი ამას წინათ წერდა: „ორმოცდასამი წლის წინათ რევოლუციონერ ბოლშევიკთა უმნიშვნელო ჯგუფმა ხელთ იგდო ძალაუფლება რუსეთში, მათი პერსპექტივები იმდენად მცირე იმედს იძლეოდა, რომ მაშინდელ დიდ სახელმწიფოებს მიაჩნდათ, რომ წითელ რეჟიმს არა აქვს გადარჩენის შანსები... 1917 წელს შეერთებული შტატების პრეზიდენტს რუსეთის მაშინდელი ამბები უმნიშვნელო საწყენ დაბრკოლებად მიაჩნდა პირველ მსოფლიო ომში. ახლა კი შეერთებული შტატების შემოსავლის, დროისა და ენერგიის მეტ ნაწილს ხარჯავენ ამაოდ ცდებზე თავიდან აიცილონ გარდუვალი. ისინი ახორციელებენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი გაძვავების კურსს და დრო და დრო პროვოკაციულად აწყობენ „ცივი ომის“ ახალ აფეთქებებს, ეშინოდეთ, ეშინოდეთ, — ეუბნებიან ერებს ეს ადამიანები, — ეს ომი ჩვენ ალარ ვიქნებით, ეს ომი ალარ ეშინიოდეთ“.

ამერიკელი ეურნალისტი აღიარებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის უდიდეს ზრდას, ძალთა თანაფარდობის მკვეთრ შეცვლას სოციალისტური ქვეყნების სასარგებლოდ. „ორი სისტემის — ამერიკისა და რუსეთის ძლიერების თანაფარდობის ეს ძირეული შეცვლა, — წერს შეკფორდი,— მოულოდნელია ჩვენთვის. ჩვენ არ ვიყავით მომზადებული და შიშითა და უნდობლობით მოვეკიდეთ ამას, მაგრამ ასეა თუ ისე — ეს მოხდა“.

იმპერიალისტებს, რასაკვირველია, არ სურთ აღიარონ ობიექტური ფაქტები, შეურიგდნენ ისტორიული განვითარების კანონზომიერებებს. უაღრესად აგრესიულად განწყობილი იმპერიალისტური წრეები ჯერ კიდევ ოცნებობენ უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი, არ სურთ დაადგნენ ახალ საზოგადოებრივ ფორმაციასთან მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზას. ისინი, შეკფორდის სიტყვით, „შემოსავლის, დროისა და ენერგიის მეტ ნაწილს ხარჯავენ“ ამაო ცდებზე, რომ ხელი შეუშალონ ბოლშევიკებს მიაღწიონ მიზანს — კომუნიზმის შექმნას მთელ მსოფლიოში“.

ამერიკელი ეურნალისტი აღიარებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტისა და გავლენის უდიდეს ზრდას, ძალთა თანაფარდობის მკვეთრ შეცვლას სოციალისტური ქვეყნების სასარგებლოდ. „ეს ფაქტორი — ამერიკისა და რუსეთის ძლიერების თანაფარდობის ეს ძირეული შეცვლა, — წერს შეკფორდი,— ალარ ეშინიოდეთ, — ეუბნებიან ერებს ეს ადამიანები, — ეს ომი ალარ ეშინიოდეთ“.

ამ ეს ეს ადამიანები, — ეუბნებიან ერებს ეს ადამიანები, — ეს ომი ალარ ეშინიოდეთ“.

ამ ეს ეს ადამიანები, — ეუბნებიან ერებს ეს ადამიანები, — ეს ომი ალარ ეშინიოდეთ“.



△ ᲑᲠᲫᲐ ᲡᲘᲛᲧᲣᲚᲕᲘᲚᲘ ᲩᲘᲮᲨᲘ ᲛᲝᲛᲬᲧᲓᲔᲕᲐ ᲛᲝᲡᲚᲓᲔᲕᲡ. △ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ.

ᲕᲐᲗᲘᲜᲣᲠᲘ ამერიკის ქვეყნების ხალხები აღტაცებას გამოთქვამენ კუბის რევოლუციის მონაპოვართა გამო, სოლიდარობას უცხადებენ კუბელ ხალხს, კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ბოლოვარის მოედანზე გაიმართა დემონსტრაცია კუბის მხარდასაჭერად. დემონსტრანტთა ყველაზე პოპულარული ლოზუნგია „კუბასთან ერთად — სიკვდილამდე“.

პრენსა ლატინას ფოტო.

საერთაშორისო
მიმოხილვა

ᲙᲝᲜᲒᲝᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ეძებენ ახალ მარიონეტს

პარიზი, 11 ნოემბერი. (საკადესი). სტატიაში სათაურით „პოლკოვნიკ მობუტუ მეგობრები ეძებენ მის შემცვლელს“ ყოველკვირეული „ტრიბუნ დე ნასიონ“ უკანასკნელ ნომერში ეხება ამერიკის ინტერიოლიზმის ბინძურ მაქინაციებს კონგოში, რომელიც ცდილობს ყოველგვარ საშუალებით იხსნას თავისი აგენტის მობუტუს სამოლოოდ სახელგატეხილი მარიონეტული რეჟიმი.

„ამგვარ საკითხებში თავისი საოცარი ესპეციალისტის ჩარლზ ბოლენის ნამარების მიუხედავად, — წერს ეკონომისტი, — სახელმწიფო დეპარტამენტმა ჯერ ვერ მოახერხა გამოენახა შესაფერი მემკვიდრე პოლკოვნიკ მობუტუსთვის, რომელიც უკვე უვარგისი გახდა“. ამ მიზნის გათვალისწინებით, რომელიც ამერიკის დიპლომატია ისახავს შავ აფრიკაში, აღნიშნავს „ტრიბუნ დე ნასიონ“, „ბევრნი ვერ გაარმევდნენ თავს ამ საკითხს ეს ყველაზე გამყიდველ ადამიანთა მიერ, რისაც კი“. მას შემდეგ, რაც უარყოფილ ასოზით კანდიდატურა, ზეადამიანზე ფიქრობენ ეროვნული — მობუტუ ელ ფაქტი, რომ მობუტუელი თავზე ხელაღებული მებრძოლი აშკარად ემეგობრებიან დიპლომატიური კორპუსისა და დიპლომატიურ მისიათა წევრებს.

მობუტუს მომხრეებმა უკანასკნელ დღეებში მთელი რიგი აღმაშფოთებელი მოქმედებანი განახორციელეს. ისინი შეიჭრნენ იუგოსლავიის საქმეთა რწმენებულის ბინაში და დაიყენეს იქ თავიანთი ოფიცერი, სცემეს ინდოეთის საქმეთა რწმენებულის შოფერს და განმხრეს თვითონ რწმენებული, ავტომობილიდან გადმოსვეს ლიბერიის ელჩი, აგრეთვე შეეცადნენ შესულიყვნენ ალბანეთ-ინდოეთ-ინდონეზიის საელჩოს ბინაში.

ᲛᲝᲒᲣᲢᲣᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲗᲐ ᲗᲐᲠᲔᲨᲘ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 12 ნოემბერი. (საკადესი). მობუტუს ბანდების ახალმა თარეშმა, რომელებმაც დაატაცეს ლეოპოლდვილის პროვინციის მეთაური კელეკამიტატუ, უაღრესად გაამწვავა მდგომარეობა კონგოს დედაქალაქში. ქალაქ ქაოსი და ანარქიულია გამეფებული. ტ. ნიუგის საგენტმოს კორესპონდენტ ლეოპოლდვილიდან იუწყება, რომ გუშინ ბევრი ელჩი და საქმეთა რწმენებულ მივიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადგილობრივ ოფიცერთან, რომელიც დაკავშირებულ იმავე წრეებთან, რომლებთანაც მობუტუ.

მაგრამ დრო არ ითმენს. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნავს „ყოველკვირეული“, „ამერიკის ლეოპოლდვილის საელჩოს წარმომადგენლებმა აცნობეს მობუტუს, რომ თუ იგი არ მიაღწევს მეტს, ისინი ალბული იქნებიან მოუსპონ მას ფინანსური დახმარება. იმისათვის, რომ მ. ... ეკონომიური დანიშნულების დიფერენციალური ... მებს“.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲒᲝᲐᲡ!

ᲓᲔᲚᲘ, 11 ნოემბერი. (საკადესი). აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მუდმივმა ორგანიზაციამ, როგორც ცნობილია, მიიღო გადაწყვეტილება, რომ აზიისა და აფრიკის კონტინენტების ყველა ქვეყანაში 25 ნოემბერი აღინიშნოს ლოზუნგით „თავისუფლება გოას!“—პორტუგალიის კოლონიის ინდოეთის ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის სრულიად ინდოეთის ასოციაციის პრეზიდენტმა ქ-ნმა რამეშვარი ნეჰრუმ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ინდოეთი, ახორციელებს რა მშვიდობისა და სამხედრო ბლოკებისადმი შეუერთებლობის პოლიტიკას, შეშფოთებულია იმით, რომ შესაძლებელია გოა გამოიყენონ ნატოს აგრესიული სამხედრო ბლოკის ბაზად. კოლონიალიზმის უკანასკნელი დასაყრდენი ინდოეთის მიწა-წყალზე, ხაზგასმით აღნიშნა მან, უნდა მოისპოს.



№0-2 ᲒᲕᲘᲠᲓᲘ, ᲙᲕᲘᲠᲐ,
13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1960 Წ.

განწირულთა ვერაგობა

ეს ამბავი სრულიად უბრალოდ დაიწყო.

შუკოვანების ოჯახს მწუხარების ბინა ჩამოწვა. პატარა გურამი ავად გახდა. ავადმყოფობის გამო ცოლ-ქმრის შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— კაცო, გაინძერი, ხომ ხედავ, ბავშვი ფიზიკურად იწვის, ხელიდან გვეცლება.

— მერე მე რა ვიღონო, დედაკაცო!

— ღილით ყური მოვკარი, მეზობლებმა ამბობდნენ, ტასია ნადაშვილი, გურამის რაიონის სოფელ ზიარში ,,რომ ოვრობს, საოცრად მკითხაობსო. თურმე ამას წინათ მეზობლიანთ სალოქე ყოფილა და ყველაფერი სწორად დაუკაკანეს. ისეთ წამლებს ამზადებს, მკვდრებსაც კი აცოცხლებსო, მაშ!..

— ეგეც გვეშველოს, დედაკაცო, ახლა გავიქცევი, ოღონდ ეს ბავშვი მომირჩეს და...

მართლაც, ს. შუკოვანს ბევრი აღარ ეტანებია, გასწია გულთამხილავი და „ცოდნის გამცოცხლებელი“ მკითხავის სასაყვანად.

ალადამხანს ავადმყოფმა ცოტათი მოიდა და საჭმელიც მოითხოვა.

შვილის სასთუმალთან მჯდომმა დედამ სასწაულად ჩათვალა, პირჯვარი გადაწერა და წამოიძახა:

— დედაო ღვთისა, შემოვევლე შენს სახელს... ხედავთ, როგორც კი ჩემი კაცი მკითხავის მოსაყვანად გავგზავნე, ბავშვმაც მოიხედა.

მალე კიბეზე ჯოხის ბაკა-ბუკი გაისმა და კარი შემოაღო შავკაბიანმა დედაბერმა. მან შემოსვლისთანავე რაღაც წამოიზმუილა, ჩაიმუხლა, ავადმყოფი ბავშვისაკენ ფოფხვით წავიდა, შემდეგ თავისი ასაკის შეუფერებლად სწრაფად შემოტრიალდა, ფანჯარას ხელი კრა და გადაღო. მკითხავი წამოდგა, ერთხანს საღამოს ბინდში უაზროდ იცქირებოდა, შემდეგ გაძვალტყავებული თითი ჰაერში შეათამაშა და ამოილუღლუღა ერთი სიტყვა:

— ჯადო!..

— ვაიმე, შვილო, დავიღუპე, — წამოიძახა დედამ.

ჯადოს გაგონებაზე შუკოვანების უფროსი ვაჟი, 21 წლის ამირანი, რომელიც ავადმყოფ ძმას თავს დასტრიალებდა, შიშისაგან აცახცახდა.

მალე დედაბერი ეზოში გავარდა. სახლს ორჯერ ბუტბუტით შემოუარა. ჯოხით მიწას ჩიჩქნიდა. მკითხავს უკან მისდევდნენ შეშინებული სალომბეგი, მისი მეუღლე და ვაჟიშვილი ამირანი. ავადმყოფი, სიცხისგან გურამი კი ღია ფანჯრებსა და კარებს შორის საბანგადახდილი უგრძნობლად იწვა.

ბოლოს, დედაბერი, ეტყობა, ეზოში სიარულით დაიღალა და აიკიბა ამოვიდა. ოთახში სიხათლე აანთებინა, ტახტზე ფეხმოკეცით დაჯდა. ჯიბიდან გაკეთილი კარტი ამოიღო და გაშალა. უცნაური შესახედავი იყო ამ დროს ბებერი მკითხავი. ტუჩებს აცაცუნებდა, თავი ძირს დაეხარა, იგრიხებოდა, იმანჭებოდა, ბოლოს წამოდგა, ხელები მაღლა აღაპყრო და სისინით წამოთქვა:

— დედაო ღვთისა, ისმინე ჩემი ვედრება, შეიბრალე მხეცი ფენი, ამოიყვანე ამ ქალღმი ოჯახის ჯადო, — თქვა და ერთ კარტს სწრაფად ხელი დაავლო, აიღო.

— არის! — უცნაური ხმით წამოიძახა გახარებულმა მკითხავმა და კარტი ჰაერში შეათამაშა.

ყველანი ზიშმა ატანა.

— თქვენს მეზობლად, იმ სახლში რომ ქალი ცხოვრობს, კარგად იცნობთ? — იკითხა დედაბერმა და მეზობელი სახლისაკენ გაიშვირა ხელი.

— რაო, დაშა თავდგირიძეს როგორ არ ეცნობა, ჩვენი კარის მეზობელია, — უპასუხა ავადმყოფის დედამ.

— ჰოდა, ღვთის მოწყალ! — დაიყვირა დედაბერმა, — სწორედ მაგან დამალა ჯადო შენს ეზოში, აი კარტს შეხედე... შენს ოჯახს დაღუპვა ელის. ყველა შეაღებინებ, თუ არ შეგიღოცე. ჯერ ეს ავგაროზი გეყოფათ, ჯადო არ ეკარება. ეს კიდევ ბალახის წვეთებია. ავადმყოფს დაალევინე. ორ დღეში ფეხზე დააყენებს.

ოჯახის „მხსნელმა“ მკითხავმა ტასო ზაქარიას ასულმა ნადაშვილმა ჯადოს საფრნაალმდეგო შელოცვისათვის და „წამლებისათვის“ ასმანეთიანები ჩაიჯიბა და კმაყოფილი წავიდა შინისაკენ.

ავადმყოფი გურამი კი უფრო ცუდად გახდა. დედაბრის „წამლებმა“ მთლად მოუთავა ხელი და გარდაიცვალა.

— თავდგრირიძემ ოჯახი დამიღუპა, — მოთქვამდა გამწარებული დედა.

— მე ვიძიებ შურს, ჯადოს ჯადოთი ვუპასუხებ, — უმატებდა მამა.

ასე დაიწყო ორ ყოფილ კეთილ მეზობელს შორის სამტრამო მტრობა.

ერთ დღეს ამირან შუკოვანმა შემთხვევით ნემსი გადაყლაპა. იგი ტკივილებისაგან იტანჯებოდა. შუკოვანები ამ ბრმა შემთხვევას თავდგრირიძეებს აბრალებდნენ.

— დაგეღუპეს თავდგრირიძეებმა, ამოგვიგდეს ოჯახი კეფიანობით, ამოვწყვეტ სუყველას, — გაჰყვიროდა სალომბეგ შუკოვანი. ამირანს კი თანდათან ეუფლებოდა შურისძიების გრძნობა მის „დამღუპველ“, ჯადოს გამკეთებელ დაშა თავდგრირიძისადმი. ამირან შუკოვანი შურისძიებისათვის მომენტს უცდიდა.

სალომბეგ შუკოვანმა ამირანის სამკურნალოდ ამკამად უფრო „სახელგანთქმული“ მკითხავი, ყვარლის რაიონის სოფელ ჩანტლის ყურის მცხოვრები დაღესტნელი მოლა მუსა ხახითა მოიყვანა.

ბნელეთის მოციქული მოლა მუსა ხახითა უფრო დახელოვნებული და მატყუარა აღმოჩნდა. მან სწრაფად შეაფასა შუკოვანების ოჯახის მდგომარეობა, ცოლ-ქმარს მოხერხებულად გამოსტყუა ცნობები, თუ რა უბედურება სჭირდა მათ ოჯახს. ამის შემდეგ გაშალა ყურანი, ფეხი მოიკეცა, ახსენა ალაჰი და შეუდგა საქმეს. იგი ერთხანს თავს აკანტურებდა, თითქოს ფიქრობსო, შემდეგ რაღაც შავი ნივთი დაწვა და კვამლი ამირანს გადაიყლაპა, რითაც კინაღამ გაგუდა იგი.

მოლა მუსა ხახითამ კარგახანს ახრჩოლა კვამლი და როდესაც ამ კვამლისაგან თვითონაც გაიგუდა, გასაძრკვლო მოითხოვა, ჯიბეში ღრმად შეინახა ფული და დაიბარა: მანამდე ეხრჩოლებინათ ეს მყრალი კვამლი, სანამ ჯადოები თავისით არ გაიქცეოდნენ.

ცხადია, ამირან შუკოვანის ჯანმრთელობაზე მოლას შელოცვამ და „მკურნალობამ“ ვერ იმოქმედა.

— არა, ან დაშა თავდგრირიძე ან მისი შვილი ზაური ზვარაკად უნდა შეეწირო ჩვენს ოჯახს და მაშინ მოვრჩები, — დაასკვნა ამირან შუკოვანმა და მოემზადა საშინელი ბოროტმოქმედებისათვის.

მაისის მშვენიერი დილა გათენდა. გაზაფხულის ნიავი საუცხოო სურნელებას ფენდა არემარეს. კოლმეურნეები მინდვრებს შესეოდნენ. შორიდან მოისმოდა მათი შეწყობილი ნადური.

12 წლის ზაურ თავდგრირიძე ოროლობეში ბროწეულის ხის ძირას მიმჯდარიყო და ჯიბის დანით შურდულის ტარს გულმოდგინედ თლიდა.

მას თვალი მოჰკრა ამირან შუკოვანმა.

— ძლივს! — გაიფიქრა მან და დაუძახა: — ახლა კი ჩავიგდე ხელში ჯადოს ბუდე!..

ბავშვი თავის საქმეს განაგრძობდა. ამირან შუკოვანი კი ბოროტი თვალებით აქეთ-იქით იხედებოდა. რომ დარწმუნდა, სხვა არავინ ჩანსო, პატარა ზაურთან მივიდა.

— ზაურ, რა კარგი შურდულის ტარი გაგითლია, არ გინდა ჩიტის ბუდეები ვანახო, აი იქ, სოფლის განპირას, ციხის გალავანთან რომ ტყეა.

ზაური სიხარულით დაეთანხმა და ტყისკენ გაჰყვა ამირანს, როგორც კი ტყის პირს მიაღწიეს, ა. შუკოვანმა ბავშვს ხელიდან გამოსტაცა ჯიბის დანა და თავსა და გულმკერდის არეში 45 ჭრილობა მიაყენა. გამხეცებული ამასაც არ დასჯერდა და მომაკვდავ ბავშვს ორივე თვალები დათხარა, მიწაზე დაადგა და ფეხით შესდგა. ბოლოს ქამარი შემოიძრო, ყელში წაუჭირა და დაახრჩო.

შემდეგ გვამი წაიღო და გაუვალ ტყეში დამალა.

მკვლელი გიჟივით გამოვარდა ტყიდან, გაუვალი ბილიკებით სახლში შეიპარა, სისხლიანი ტანსაცმელი გაიძრო და ლოგინში ჩაწვა.

მალე დედამ თავისი შვილი — პატარა ზაური მოიკითხა. უშედეგოდ ისმოდა დედის ძახილი სოფლის ერთი თავიდან მეორეში.

მთელი სოფელი გამოვიდა პატარა ზაურის საძებნელად და მის გვამსაც მიაგნეს. მიაგნეს მის მკვლელსაც ა. შუკოვანს, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ, ა. გოგაშვილის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის, იუსტიციის უფროსი მრჩეველის ლ. ზაიჩიკის მონაწილეობით, განიხილა ა. შუკოვანის ბრალდების საქმე და მას მიუსაჯა დახვრეტა. სასამართლომ შესაფერისი სასჯელი გამოუტანა ბნელეთის მოციქულებს ტ. ნადაშვილსა და მოლა მუსა ხახითას.

• • •

მეტად აღმაშფოთებელი და ჩამაფიქრებელია ეს ფაქტი. როგორც ცნობილია, ეკლესია სიუკუნეების მანძილზე თავგადადებით უწევს პროპაგანდას რელიგიურ მორალს, ყოველნაირად ცდილობს ჩამორჩენილნი დაარწმუნოს ადამიანის ღვთაებრივ წარმოშობაში. რელიგია წამლავს მასების შეგნებას, უბიძგებს, მორალმოქმედებისაკენ, ნოყიერ ნიადაგს უქმნის ბნელეთის მოციქულებს, მკითხავებს, რომლებიც თავიანთი ვერაგობით დად ზიანს აყენებენ საზოგადოებას.

სამწუხაროა, რომ ჩვენში რელიგიური ცრურწმენანი ჯერ კიდევ არსებობენ გადმონაშთის სახით, რელიგიური სექტანტები გონებასა და გრძნობას უწამლავენ ასობით ადამიანს. ჩვენი ვალია ვამხილოთ, გამოვაშკარავოთ ასეთი შემაძრწუნებელი და აღმაშფოთებელი ფაქტები; მზის სინათლეზე უნდა გამოვიტანოთ „ღვთის რწმენას“ ამოფარებული ბოროტმოქმედები, რომლებიც თავიანთ ბნელ საქმეებში ითრევენ, უვიცობის ანკესზე აგებენ სუსტი ნებისყოფის ადამიანებს. ზემოთ მოყვანილი ფაქტები მეტყველებს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მოსახლეობაში, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, ანტირელიგიურ პროპაგანდას.

მ. თოფურიძე,
საქართველოს სსრ პროკურორი.

ამას შენზე ამბობენ, ჩემო სამშობლოვ!

თავის სიცოცხლეში არ დაავიწყდება 1960 წლის ზაფხული ვიეტნამელ ახალგაზრდა ნგო სუან შონს, იგი მუდამ სიამოვნებით მოიგონებს საქართველოში, ჭიათურელ მაღაროელებთან გატარებულ სამ თვეს.

იკითხავთ: როგორ მოხვდა ვიეტნამელი ახალგაზრდა ჭიათურაში? ნგო სუან შონი ოთხი წლის წინათ ჩამოვიდა მოსკოვში და ი. ბ. სტალინის სახელობის სამთო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მიმდინარე წლის ზაფხულში იგი სასწავლო-საწარმოო პრაქტიკაზე იყო ქართული მარგანეცის ქალაქში დიმიტროვის სახელობის მაღაროში.

მოსკოვიდან მაღაროში წერილი მოვიდა. წერილი გახსნეს. ყველას გაეხარდა: იქ ნგო სუან შონის ბარათი აღმოჩნდა. მეგობრულ სურვილებს უგზავნის იგი მაღაროელებს, ინჟინრებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ შუბაკებს. წერილთან ერთად პაკეტში აღმოჩნდა ნგო სუან შონის „შთაბეჭდილებანი საქართველოზე“. მოგვყავს იქიდან ზოგიერთი ადგილი:

„ოთხი წლის წინათ ჩამოვედი მოსკოვის ი. ბ. სტალინის სახელობის სამთო ინსტიტუტში სასწავლად, სადაც ყოველ ნაბიჯზე ვხედავდი ჩემდამი საბჭოთა ადამიანების უანგარო ზრუნვასა და გულთბილ დამოკიდებულებას...

სხვა სტუდენტებთან ერთად პრაქტიკაზე გამგზავნეს საქართველოში — ჭიათურაში. დიმიტროვის სახელობის მაღაროში სამი თვე დავყავი და ბევრი რამ კარგი ვისწავლე. რაც მთავარია, შევიძინე შესანიშნავი მეგობრები, ამხანაგები.

ბზიარ საქართველოში განსაკუთრებით მომეწონა შრომელთა შეძლებული ცხოვრება, ჩაის, ციტრუსების პლანტაციები და ვენახები, მარგანეცის მდიდარი საბადოები, მინერალური წყლები. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ჩემს სამშობლოში, საკუთარ ოჯახში. ამ პატარა, მაგრამ ულამაზეს რესპუბლიკაში ცხოვრობს უაღრესად გულისხმიერი, ყურადღებიანი, კეთილი და სტუმართმოყვარე ხალხი. ჩემს მეხსიერებაში აოსოდეს არ წაიშლება საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი და მოგონებები.

უფრმესი მადლობა ქართველ ხალხს, ჭიათურელ მაღაროელებს ჩემდამი ესოდენ დიდი ყურადღებისა და მზრუნველობისათვის“.

მაღაროელები გულდასმით გაეცნენ ნგო სუან შონის ბარათს, ჭიათურიდან მეგობრული წერილები გაგზავნა ვიეტნამელი სტუდენტის მისამართით.

პ. ფიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მწერალი და მოქალაქე

გიორგი ლეონიძე,
საქართველოს სახალხო პოეტი.

1950 წლის იანვარს, როცა ბუქარესტში შეხვედრა მოგვიწყეს მე და რუს პოეტს სტეფანე შჩიპაჩევს, როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრებს, დიდი რუმინელი პოეტის მიხეილ ემინესკუს იუბილეზე დასასწრებლად ჩასულებს, მწერალთა კავშირში შეხვედრაზე მოსულ რუმინელ მწერალთა მორის, ჩემი ყურადღება უნებლიეთ მიიპყრო ახოვანმა, ლითონივით ჩამოსხმულმა, მაგრამ მთლად გათეთრებულმა, ლომური სახის მოხუცმა მწერალმ.

— ,,ჩვენი ცოცხალი კლასიკოსია! მისი დასაბადებელი დღეს ორ კვირაკვირეებში! — სიამაყით მეუბნებოდნენ რუმინელი მეგობრები.

ეს მოხუცი მიხეილ სადოვიანუ იყო, რომლის დაბადების 80 წლისთავსაც დღეს აღვნიშნავთ.

— ეს ტომზე მეტი აქვს დაბეჭდილი! დიდებულად იცის რუმინეთის ისტორია, მისი ხანმრძელი წარსული, ხალხის ზნეჩვეულებანი, ტრადიციები, ხოლო სადოვიანუს ნაწარმოებთა ენობრივი სიმდიდრე ხამდვილად გასაკვირია. არანაკლებ გასაკვირველია მისი შრომისმოყვარეობა!

მეორე საღამოთი პეტრუ გროზამ თავის ოჯახში მიგვიწვია და იმ წვეულებაზე, ჩემს გვერდით, მეზობლად, სხვორედ სადოვიანუ აღმოჩნდა, რაც ძალზე მეამა.

მსუბუქი, სადარბაზო მუსიკის მერე, რაც მეეხებოდა საქართველოში მეტადრაკეთობას, მეთვეზეობას, გადავეფინეთ ქართული კულტურის საკითხებზე. სადოვიანუმ ზოგი რამ იცოდა. ეტყობოდა, ძველადაც დაინტერესებული ყოფილა საქართველოთი. ჩემთან ლაპარაკში დასძინა, რომ საქართველოზე წიგნის დაწერა ჩემი დიდიხნის ნატვრაოო.

თვითეულ თავის ნაწარმოებში სადოვიანუ მიმართავს შთაგონების ხალხურ წყაროს, შშობლიური მიწის სურნელებას.

სადოვიანუს მთავარი გმირი გლეხია, მას შესანიშნავად აქვს გამოძერწილი უბრალო გლეხკაცთა სახეები, მათი ძლიერი, რთული ერთგვნელი ბასიათი, მათი შრომა, ბრძოლა და წყურვილი თავისუფლებისა. ხალხის სიყვარული, ხალხის ცხოვრების ცოდნა, ეს არის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი და თვისება სადოვიანუს შემოქმედებისა.

სადოვიანუს შემოქმედებას მრავალსახეობა ახასიათებს. იგი უმეტესად მაინც ისტორიული რომანების ავტორია. თავისი ერის წარსულის დიდმა მცოდნემ. დაუვიწყარი სახეები შექმნა. „მან სიცოცხლე დაუბრუნა საუკუნეებს, რომელნიც დიდი ხანია, რაც ჩაძირნენ სამშობლოს წინაისტორიის წყვდიადში“, სადოვიანუს ისტორიული ნაწარმოებნი მომართულია მომავლისადმი. ისტორიული თემა გადაჯაჭვულია თანამედროვე რუმინეთის ცხოვრებისა და ბრძოლის თემასთან. სადოვიანუ გვიჩვენებს, თუ როგორ მოდიოდა ხალხი შრომითა და ბრძოლით



წარსულიდან მომავალში. სადოვიანუს მთხრობებსა და რომანებს უპირველესად ახასიათებს ისტორიული სიმართლე, მხურვალე მამულიშვილური სიყვარული, ისტორიულ მასალასთან ერთად, დიდის გამოწვლილვით შეგროვილსა და შესწავლილ ფაქტებთან და საბუთებთან ერთად, სადოვიანუ სუნთქავს ხალხის სულით. სწორედ ამაშია მისი ძალის ძლიერება. სადოვიანუს თანამედროვეობის სულით, მძაფრი პუბლიცისტური პათოსით. ერთი სიტყვით, სადოვიანუს შემოქმედება მეტად დიდია, როგორც ლიტერატურულ-მხატვრული მოვლენა თანამედროვეობისა, თვითეული მისი ნაწამები დაწერილია უაღრესი მხატვრული პასუხისმგებლობით.

სადოვიანუს შემოქმედებამ ფრთა გაშალა, როცა რუმინეთი განახლდა ახალი ცხოვრებით. სწორედ ამ დროს ეკუთვნის მისი შესანიშნავი ნაწარმოები „მიტრია კოკორი“, რომელმაც 1950 წელს „შვიდობის ოქროს მედალი“ მიიღო. მასში აღწერილია თავგადასავალი რუმინელი უუფლებო გლეხისა, რომელიც ომიდან დაბრუნების შემდეგ ახალი ცხოვრების მშენებელი ხდება. ეს ნიჭიერი ნაწარმოები მქადაგებელია ხალხთა ძმობისა და სიყვარულისა.

მიხეილ სადოვიანუ დიდი საზოგადო და საზ[illegible] [illegible] - [illegible]სად, იგ[illegible] [illegible] ძოლია. იგი წევრია [illegible] საბჭოთა [illegible] დაცვ[illegible] [illegible]ტისა. იგია თავმჯდომარე რუმინეთის დიდი ეროვნული ყრილობის პრეზიდიუმისა.

ყოველ თავის ნაწერში მიხეილ სადოვიანუ ებრძოდა უცხო დამპყრობელს და თვით ფაშიზმის ბატონობის დროს რუმინეთში, ყოველთვის ხალხის მხარეზე იყო, იბრძოდა ხალხთან ერთად, მაშინ, როდესაც ზოგი გულგატეხილი მწერალი ფაშიზმს დანებდა ან არა და ფეხქვეშ გაუწვა.

სადოვიანუ მწერლობაში იბრძოდა თავისი ხალხის უფლებისა და ბედნიერებისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის. ამიტომ უყვარს მოხუცი მწერალი-აკადემიკოსი რუმინელ ხალხს, ამიტომ არის სადოვიანუ ცნობილი რუმინეთს გარეთაც, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში, სადაც დაბეჭდილია მისი 50 დასახელების წიგნი, ოც ენაზე თარგმნილი. მათ შორის ქართულ ენაზეც მზადდება მისი მოთხრობების კრებული (ერთ-ერთი მოთხრობა კი ამას წინათ გამოიცა).

მაშინ, პეტრუ გროზას ოჯახში გამართულ ნადიმზე, რათა უფრო მეტად დაინტერესებნენ მოხუცი მწერალი ქართული კულტურით, ლაპარაკი ჩამოვუგდე ანთიმოზ ივერიელზე, მეჩვიდმეტე საუკუნეში გაყიდულ ტყვე-ქართველზე, რომელიც ახალი რუმინული ენის ფუძემდებელი შეიქნა. ანთიმოზი იყო შესანიშნავი მქადაგებელი, პოეტი, მხატვარი და წარჩინებული მესტამბე, რომელმაც რამდენიმე სტამბა გაუმართა რუმინელებს.

ამ შავბნელ დროში და რომელიც ამასთანავე რუმინულ, ბერძნულ, სლავურ, არაბულ წიგნებით ამარაგებდა მთელს წინა აზიას.

ანთიმოზ ივერიელი საუკეთესო თემა გახდა ჩვენი საუბრისა. სადოვიანუ აღტაცებული იყო ანთიმოზის ნებისყოფით, დაუშრეტელი ენერგიით.

— ნამდვილი სიმბოლოა ჩვენი, რუმინულ-ქართული ძმობისა! — ამბობდა იგი, საოცარი იყო ჩემთან, ქართველთან, სადოვიანუ ამაყობდა ანთიმოზ ქართველით, როგორც თავისი ქეეყნისა და კულტურის პატრიოტით! მან ბევრი არაფერი იცოდა ანთიმოზის სასტამბო მოღვაწეობაზე საქართველოში, გახსენგ მეექვსესთან ერთად, და როცა დაწვრილებით ვუამბე, ძალიან დაინტერესდა.

— აი ვიზე უნდა დაიწეროს დიდი ნაწარმოები! — ვუთხარი სადოვიანუს, იმ იმედით, იქნებ ხელი მოჰკიდოს-მეთქი!

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად, უნდა დავწეროთ, — დასძინა მოხუცმა მწერალმა და ამით თითქოს დამაიმედა.

ამ საუბარში სადოვიანუს გავაცანი აგრეთვე ჩვენი ბესიკის ბიოგრაფია, ბესიკის სიცოცხლის დასასრული რუმინეთში, მისი უბატრონო საფლავი რუმინულ მიწაში! ბესიკზე მან სრულიად არაფერი იცოდა და, ეტყობოდა, მეტად მოხიბლა ბესიკის ტრაგიკულმა თავგადასავალმა. მე ვთხოვე სადოვიანუს დამხმარებოდა ქალაქ იასიდან ბესიკის საქართველოში გადმოსვენების საქმეში. მან გულით აღითქვა დახმარება.

ორივემ ჩვენი სიხარული გამოვთქვინთ, რომ ქართველ-რუმინელთა (ანუ ძველი თემრნინი „ვლახეთის“) დამეგობრება ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში დაიწყო, უსასტიკეს ისტორიულ პირობებში, როცა რუმინეთს, ანუ ვალახიას და საქართველოს უმოწყალოდ სთელავდა თურქი ანექრარების თარეში. ხოლო ენანობდით, რომ ამ ძველ მეგობრობაზე ასე ცოტა ვიცოდით.

მიხეილ სადოვიანუს ძალზე აინტერესებდა ჩვენი წარსული, ჩვენი ძველი ხელოვნება, კერძოდ, ჩვენი ხუროთმოძღვრული ძეგლები, აღნიშნავდა რა ბევრ რამ საერთოს რუმინეთის ძველ ხუროთმოძღვრებასთან. ბოლოს მან გამიმეორა: მაინდა, რა შეიძლება მალე, მოვინახულო საქართველო და ჩემი ოცნება განვახორციელოო!

მართლაც, 1952 წლის ზაფხულს, სადოვიანუ ჩამოვიდა თბილისში. დათვალიერა ჩვენი დედაქალაქი, ზოგი ჩვენი ღირსსახსოვარი ადგილები და შემდეგ ერთ თვემდე რიწას ტბაზე ისვენებდა.

იგი შემდეგ კვლავ ამორებდა საგანგებოდ ჩამოსვლას, რათა დაწვრილებით გაეცნო ჩვენი კულტურა. სამწუხაროდ, ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ხელი შეუშალა საქართველოში ხელმეორედ ჩამოსულიყო. მაგრამ, როგორც ბუქარესტიდან მოგვდის ცნობები, სადოვიანუს ჯანმრთელობა ახლა გამოკეთების გზაზე დამდგარა.

გუსტრგოთ ჩვენს დიდ მეგობარს, მეგრძოლ-ჰუმანისტ მწერალს მალე გამოჯანსაღებულიყოს და თავისი ძლიერი კალამი ისევ ჩაეკენენინოს ხალხის სამსახურში.

მიხეილ სადოვიანუს 80 წლის თარიღს სიხარულით ვხვდებით ჩვენც, ქართველი მწერლები და მკითხველები.

ᲙᲐᲙᲐᲪᲘ ᲑᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ვიყავით საკლებად ჯიბიდან გავარდნილები და მის მიერ ამგვარ ათვალწუნებაზე სიცილით ვიჭაჭებოდით.

შეიძლება ჩვენს შორის ბევრი იყო ისეთი, რომელიც სულაც არ იყო სიცილის გუნებაზე და მგონი ერთად იყვნენ დაავადებულნი ამ გოგოს სიყვარულის უყურნებელი სენით. მაგრამ ყველანი მე ძმაძავდნენ. მე კი ისე ვუცქეროდი ამ წვრილკანქარა, ტანწერწეტა და თვალებრიალა გოგოს, თითქოს ჩალის ზვინისთვის შემეხედოს. თავიდანვე მოვერიე ჩემს თავს და ვირწმუნე, რომ ასეთი ცვლილებაზეაა ქალიშვილის შეყვარება საკუთარი თავის დაღუპვის ნიშნავდა: სიყვარული ისეთი ადამიანისა მწამს, რომელსაც მეც ისეთივე წრფელი გრძნობებით შევუყვარდები. განა შეიძლება ისეთი ქალის შეყვარება, რომელიც თანაგრძნობას როგორც მოწყალებას ისე გიბოძებს? ასეთი ქალის თვალში ცამდისაც რომ გაიზარდო ცხოვრებაში, მაინც მუდამ მათხოვარი იქნები და არასოდეს კაცად არ დაგაფასებს. აი ეს სიბრძნე რომ შევაგენებინე ჩემს თავს, წელში გავიმართე და სხვები თუ თვალს ვერ ამორიდნენ ცისანას და თავს არ იზოგავდნენ, რომ მისი ყურადღება მიექციათ, მე ერთხელაც არ გამომჩენია ასეთი სისუსტე. თანდათანობით სხვებიც ამყვნენ, ახლო ამხანაგები, ცხადია, და თუმცა შეიძლება გულში ყოველ მათგანს ბობოქარი ალი უტრიალებდა, გარეგნულად მაინც თავი ვიყავაცურად ეჭირათ. სხვებივით არ წამბდარან და თანაგრძნობაზე ცივი უარის მიღების შემდეგ თავგანწირულ ხვეწნა-მუდარაზე არ გადასულან. პირიქით, თვითონაც გულები ბაში ჩაკიდული ღვინით სავსე დოქებივით გაიცივეს, თუმცა ყოველი მათგანი, ჩემს გარდა, ამას ნამდვილად ვამბობ, მაინც იმედს არ კარგავდა, რომ ეს გოგო ოდესმე რომელიმეს საბოლოოდ გაუღიმებდა.

„ცისანა, დედა დაიფიცე, პროფესორი რომ გავხდები, ნუთუ მაშინაც აღარ გვიყურებ“, ეუბნება სინუსა (სინუსას სინო ჰქვია და ჩვენც მისი მიმსგავსებით ვეძახიდით). ეს ტრიგონომეტრიული მეტახელი, ასევე კოსინუსას კოსტა ჰქვია, ტანგენსას ტარიელი, კოტანგენსას კალინიკე, პი ერ კვადრატს პიერი, მარტო კენჭოშვილს დეერქვა ნაწევარი, იმიტომ რომ ძალზე პატარაა, თორემ მამამისს მალხაზად მოუნათლავს). ო, დიდი ოხერი ვინმე იყო ეს სინუსა. ალბა იმას შეეძლო გოგოებთან ლაპარაკი, თუ ვინმეს ფიზიკურ-ბიოლოგიას, ისე დაუუკეებდა ეღლერტულს, იმისთანა სასიამოვნო ხუმრობებს ეტყოდა, ისე გემოზე გააცინებდა, რომ საბოლოოდ მოხიბლავდა და ამ ხანებში ჩვენში ქალიშვილი არ დადიოდა, რომ ამ ბიჭის სიყვარული გულში არ ჩაეარდნოდა. სამაგიეროდ კოსინუსა ვერ გოგოს როგორც კი დაინახავდა, კიდევაც დამუნჯდებოდა, კიდევაც დაურეფდებოდა და ნამდვილ საპყრად იქცეოდა. გამწარებული იწმენდდა ოფლს და სულ თვალი ეჭირა, როგორმე გაპარულიყო.

ერთხელ ოჯახში ვიყავით სტუმრად. კამოდის თავზე ძველებური „ფლირტი“ ანუ საფლირტო ფურცლები ვნახე კოლოფში ჩაწყობილი (ახლა „ყვავილნარი“ დაარქვეს მგონია) და გავაბით ერთმანეთში ამ ფურცლებით საუბარი. დიდი სასაცილო რამე კია ეს საფლირტო ფურცლები. გაუწოდებ ქალიშვილს და ეტყვი: არჯაკელი. ქალიშვილი დახედავს, ეძებს ამ სიტყვას და იქვე პოულობს მიანერებს: მე თქვენ მოგწონხართ. ცოტა ხნის შემდეგ ახლა ქალიშვილი გამოგიწოდებს ფურცელს და ეტყვის: უუნურუკო. დაავლებ ხელს გულისფანცქალით და კითხულობთ პასუხს: მეც მომწონხართ. ერთი სიტყვითო, მისწრებაა კოსინუსასთანებისათვის თავის გულისნადების გადასაშლელად, მაგრამ საქმე არა გაქვთ! მივეცით ხელში ფურცელი, ამოიკითხა შიგ რაღაცეები, მაგრამ გაწოდებით ვერა, დაება ხელი და გაწოდება კი არა, გოგოებისკენ გახედვაც ვერ მოახერხა. მერე დაავლო ქუდს ხელი, მოგაგონდა, გადაუდებელი საქმე მაქვსო, და მოუსვა.

— მოდი, ბიჭო, ეს გოგოები კი არ შეგეპამენ, — ეუბნებოდა ხოლმე სინუსა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, თითქო მეხს გაექცევინონს, იდგა ეს უბედური, ველარც წასვლას ახერხებდა, ველარც დარჩენას.

სამაგიეროდ სწავლაში, ვერა ძმაო, კაცი არ იყო მისი მჯობნელი, ხუთიანები სულ ტანკისტებივით მყავდა ჩამწკრივებული. ჩვენ არც ერთს არ შეგვეძლო მას გავტოლებოდით, მაგრამ ყველას მაინც თავის კოზირი აქვს ცხოვრებაში. მაგალითად, პი ერ კვადრატი ბუნებას იმისთანა ღონით დაეჯილდოებინა, მთელ კლასს ისე მოგვახვეტდა კუთხეში, ძალიანაც რომ გვდომოდა, ერთი ვერ დაუსხლტებოდა. ბეკებზე არსენას არშინსაც ვერ გადაეწვდენდი.

— ბიჭო, ჭკუაშიდაც რომ მაგდენი ღონე მოეცა შენთვის განგებას, არც შენს ბედს დაეყოფდა ძალი, არც ჩვენსას, — ეტყოდა ხოლმე ჩვენი ფიზიკის მასწავლებელი პორფილე ჩინჩალაძე.

ტანგენსა და კოტანგენსა მთომბატიკის ღმერთნი იყვნენ. საბელმძღვანელოში რომელ ამოცანაზე უნდა დაგვდვა ხელი, მათ რომ ვერ ამოეხსნათ. ნაწევარას ლექსების წერა უყვარდა. ყოველდღე გზავნიდა თბილისში თავის ნაცოდვილარს, ახალგაზრდა მწერლების რაიონულ შეკრებასაც კი დაესწრო და ზეპირად ბევრი ლექსი მოუწონეს, მაგრამ არც ერთს არ უბეჭდავდნენ.

ერთი სიტყვით, ვიყავით ეს ზვიდი ბიჭი ასე შეთანხმებული. დავამთავრეთ საშუალო, დაგვირიგეს ატესტატები. კოსინუსას გარდა ოქროს მედალი არც ერთს არ გვრგებია, მაგრამ საგამოცდოდ წასვლა ყველამ გადავწყვიტეთ. ხუმრობა ხომ არ იყო, ატესტიტრიენტები გავხდით. ამ სიხარულში რომ ვართ, მოვიდა ამ დროს ნაწევარა და გვეუბნება:

— ბიჭებო, ატესტიტრიენტები კი არა, ვაბითურიენტები ვართ მგონია.

— ეგე! მონახე რითმა! — ვეუბნებით ჩვენ, მაგრამ ნაწევარას სახეზე ვატყობთ, არ ხუმრობს.

— ვისაც ორი წლის საწარმოო სტაჟი აქვს, პირველ რიგში იმათ იღებენ თურმე. ოღონდ ჩაბაროს, სულ სამიანი მიიღოს, მაინც იმათ ჩარიცხავენ, დანარჩენები, ოქროს მედალოსნებიც, კონკურსზე უნდა გავიდნენ.

ამ ამბავმა ყოველი ჩვენგანი სულ სხვადასხვაგვარად აფორიაქა. ზოგს თავზარი დასცა. ზოგი პირიქით, გაახარა.

— ალბა, ბიჭებო, დოურტყეთ ახლა ენთუზიაზმი და სულ სიმღერით წადით მაღაროში, — გულიანად ეამოიძახა პი ერ კვადრატმა და ჯიბეში ნაგდები წელში გაწყვეტილი პაპიროსი გააბოლა.

— უნდა გითხრა, ეგ საქმე მომეწონა, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა: — თქვა სინუსამ და პიერს

კომუნისტი

ТБИЛИСИС ДИНАМОЕЛЕГБИ ФЕХБУРТИС САМШОБЛОШИ

დუელის მოლოდინში

ახლა, არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმაზე, რომ საზღვარგარეთ საბჭოთა ფეხბურთელების გამოსვლებს შორის ყველაზე ძნელი და პასუხსაგები ტურნე თბილისის დინამოელებს ხვდათ, ისიც ასეთი მომჭანცველი ჩემპიონატისა და სსრ კავშირის თასისათვის განუმეორებელი ბრძოლის შემდეგ.

დიახ, დინამოელებს პაექრობა აქვთ ფეხბურთის სამშობლოში, სპორტის ამ სახეობის ოსტატებთან. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართველი ფეხბურთელები ამ გზას ტრიუმფით გავლიდნენ, მაგრამ ისიც უნდა ვღიაროთ, რომ ამ გზაზე მოულოდნელობებსაც ჰქონდა ადგილი. პირველი სიურპრიზი შეფილდში ჩვენი ფეხბურთელების დამარცხება (0:5) იყო. ეს შედეგი როდი განსაზღვრავს „შეფილდ უენსდეისა“ და „დინამოს“ ძალთა თანაფარდობას, იგი პირველ რიგში გამოიწვია დინამოელთა მთელი დაცვის დაბნეულობამ.

შემთხვევით როდი წერდა „დეილი ტელეგრაფი“: „თბილისელთა დაცვაში აღმოჩნდა სუსტი ადგილები, რის შედეგადაც „შეფილდის“ თავდასმსმელები ადგილების სწრაფი გადანაცვლებით ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მდგომარეობას დინამოელთა კართან...“

გაზეთი „ტაიმსი“ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „...დინამოელთა თავდასხმამ მაღალი ტექნიკა აჩვენა, მაგრამ მის მოქმედებამი ცოტა იყო მოულოდნელობა და სიმკაფიერე, რამაც შეფილდელებს შესაძლებლობა მისცა ადვილად გამოიცნოთ მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი“.

თუ ამას ადგილობრივი გაზეთების სპორტულ მიმომხილველთა იმ აზრსაც დავუმატებთ, რომ ნახევარმცველებმა ვერ შეძლეს მოედნის შუა ნაწილისათვის კონტროლის გაწევა და მცველთათვის დახმარება, მაშინ ცხადი გახდება, რატომ ვერ მოქმედებდა რიტმულად „დინამოს“ მთლიანი ანსამბლი.

ბუნებრივია, ამის შემდეგ ყურადღება გადატანილი იყო მომდევნო მატჩზე, შეხვედრაზე დიდი ტრადიციის საკლუბო გუნდთან „ეფსვერჰემპტონ უონდერერსთან“. მატჩის შედეგი ცნობილია; გატანილი ათი ბურთიდან — ხუთი თბილისელებს და ამდენივე ინგლისელებს ეკუთვნით.

მაგრამ აქ საქმე მარტო ანგარიშში როდია, არამედ თამაშის მსვლელობაში. დინამოელთა თავდამსხმელებზე საყვედური ვერ ითქმის, ისინი მტოქავთა საჯარიმო მოედანზე მოქმედებდნენ კოლექტიურად, ეფექტურად, რაც ერწყმოდა მაღალ ტემპს. თითქმის ჩამოსათვლელი წუთებია იყო დარჩენილი, როდესაც ციფრები 5:2 გვამცნობდნენ თბილისელთა გამარჯვების რეალურ შანსებს, მაგრამ კვლავ პანიკამ მოიცვა მცველთა რიგები და „მგლებმა“ ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს.

საბოლოო შედეგი მართლაც რომ მოულოდნელი იყო ყველასათვის, პირველ რიგში „მგლებისათვის“. ამიტომ ინგლისელებმა მოედანი საკმაოდ მხიარული სახით დატოვეს.

რედაქცია დაინტერესდა, თუ როგორი შეფასება ჰპოვა ინგლისში დინამოელთა მეორე გამოსვლამ და გუშინ ლონდონში ტელეფონით დაუკავშირდა თავის კორესპონდენტს ნ. მაჩხანელს. მან გვაცნობა:

ინგლისელები ამ ასპარეზობას ადარებენ სეზონის საუკეთესო მატჩებს ბრძოლის შესანიშნავი სტილით, მრავალფეროვანი ტაქტიკით, ანალელვებელი მომენტებით. ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ საბჭოთა ტემპერამენტმა მაღალ ტექნიკასთან ერთად, მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ინგლისელებმა მესხს „დინამოს“ საუცხო სოლისტი უწოდეს, ღოღობერიძეს — დირიჟორი, ბარქაიას — „ყველაზე სიმში ეშმაკუნა“.

ვრცელი რეცენზიებით გამოვიდნენ გაზეთები „დეილი ტელეგრაფი“, „დეილი მეილი“ და სხვ. ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ ღონიერელთა, კერძოდ ქართველი ფორვარდების ლამაზ თამაშს და აქვე მიუთითებდნენ მცველთა შეცდომებზე. უკანასკნელ წუთებში გატანილ სამ ბურთს მცველთა და ნახევარმცველთა „ტრაგიკულ აკორდს“ უწოდებენ.

„დეილი ტელეგრაფი“ მაღალ შეფასებას აძლევს მესხის, ღოღობერიძის, ბარქაიას და მელაშვილის თამაშს. „დეილი მეილი“ აღნიშნავს: დინამოელებმა ბრძოლის ნამდვილი დინამიურობა გვიჩვენეს.

თუ როგორი ბალანსით დაბრუნებულან თბილისის დინამოელები საშობლოში, დამოკიდებულია უკანასკნელ მატჩზე, რომელიც 14 ნოემბერს გაიმართება ლონდონშია.

ვინ იქნება „დინამოს“ მეტოქე?

ეს არის ინგლისის 1960-1961 წ. წ. პირველობის გათამაშების ლიდერი „ტოტენჰემ ჰოტსპური“, რომელიც ტრიუმფით მიიწევს წინ — ჩემპიონობისაკენ. მართალია, ეს გუნდი მხოლოდ ერთხელ (1950-1951 წ. წ.) იყო ამ ქვეყნის ჩემპიონი, მაგრამ მომდევნო ათ წელიწადში იგი მუდამ ლიდერთა რიგებში იმყოფებოდა, ხოლო ბაიულ საფეხბურთო სეზონში მესამე სასპრიზო ადგილი დაიკავა.

ასეთი წარმატება, როგორც დღეს აქვს „ტოტენჰემ ჰოტსპურს“, ჯერ არასოდეს არ ჰქონია. 17 თამაშიდან 15 მატჩის მოგება უთუოდ ბრწყინვალე შედეგია. მხოლოდ მეჩვიდმეტე ტურში დამარცხდა იგი, მაგრამ 31 ქულით კვლავ პირველ ადგილზე იმყოფება. მეორე ადგილი უკავია „შეფილდ უენსდეის“ (32 შესაძლებლიდან 26 ქულა), მესამე — „ეფერტ“ (32 შესაძლებლიდან 23 ქულა), მეოთხე — „ვულვერჰემპტონ უონდერერსს“ (32 შესაძლებლიდან 22 ქულა).

როგორც ლიდერთა ამ შედეგებიდან ჩანს, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ ქულათა დიდი განსხვავებით უსწრებს უახლოეს მეტოქეებს და დღეისათვის პირველობის უდაო პრეტენდენტია. გუშინ ინგლისის მრავალი სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი თამაშობს. მათი უმრავლესობა შეყვანილია ამ ქვეყნის ნაკრებში, ამასთანავე გამოდიოდა 1958 წლის მსოფლიო პირველობის გათამაშებაში.

„ტოტენჰემ ჰოტსპურში“ იერიშების ორგანიზატორი და მთავარი სნაიპერია ცენტრალური თავდამსხმელი რობერტ სმიტი, რომელსაც 1959 წლის გასტროლებიდან კარგად იცნობენ საბჭოთა შაჯურებლები. ეს ის მოთამაშეა, რომელმაც ამასწინანდელ მატჩში ესპანელთა კარში 2 ბურთი გაიტანა და საერთოდ მოედანს იშვიათად თუ ტოვებს გოლის გარეშე. „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ ყავს ძლიერი გარემარბები ჯონსი და მედვინი, ნახევარმცველები — ბლენჩფლაუერი, ნორმანი და მაკეი. მათი თამაში გამოირჩევა მაღალი ტექნიკით, შესანიშნავი ორიენტაციით, კარში ზუსტი და მოულოდნელი დარტყმებით.

ერთი სიტყვით, ლონდონი დიდი ფეხბურთის, დიდი დუელის მოლოდინშია.

გუშინ დინამოელებთან

ფეხბურთის სამშობლოს დედაქალაქი დიდი სპორტული ასპარეზობის მოლოდინშია. ლონდონი შეუნელებელი ინტერესით მოელის ინგლისის ჩემპიონატის ლიდერის „ტოტენჰემ ჰოტსპურისა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების საერთაშორისო მატჩს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ „ტოტენჰემის“ სტადიონზე, რომელიც 68.000 მაყურებელს იტევს, ამ შეხვედრისათვის არც ერთი ბილეთი აღარ იშოვება, ადგილობრივი პრესა, რადიო ფართო კომენტარს უკეთებენ ინგლისელ და ქართველ ფეხბურთელთა უკანასკნელ, რიცხვით მესამე ასპარეზობას.

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი ეწვია ქართველ ფეხბურთელებს ლონდონში, რომლებიც სასტუმრო „პიკადილი ოტელში“ ცხოვრობენ და საუბარი ჰქონდა მათთან. იგი გვაცნობებს:

12 ნოემბრის ლონდონში არახელსაყრელი ამინდი იდგა. წვიმდა, ქროდა ცივი ქარი. ასეთ ამინდში ძნელი იყო წვრთნის ჩატარება, მათ მოუნახეს გადახურული მოედანი, სადაც მოეწყო ვარჯიში. ყველა კარგად გრძნობს თავს და წვრთნამაც წარმატებით ჩაიარა. დღის მეორე ნახევარში ქართველმა ფეხბურთელებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

ამ დღეს გუნდის ხელმძღვანელობის ერთი ნაწილი — ა. ყორდანია და. ბ. პაიჭაძე შეფილდში გაემგზავრა, მათ აინტერესებდათ „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ თამაში. ეს გუნდი 12 ნოემბერს ქ. შეფილდში ადგილობრივ საკლუბო გუნდთან „შეფილდ უენსდეისთან“ ატარებდა ინგლისის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩს. „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“. რომელიც აქამდე დაუმარცხებლად იბრძოდა, წააგო შეხვედრა ანგარიშით 1:2.

თბილისის დინამოელთა საბრძოლო განწყობილება კარგია. მატჩი „ტოტენჰემ ჰოტსპურსა“ და „დინამოს“ შორის, დაიწყება 23 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

△ **ანკარაში** დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივმა გამართა მორიგი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ამჯერად საბჭოთა გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა თურქეთის ეროვნული ნაკრები. შეუპოვარი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 1:1. ბურთები გაიტანეს ლევჩენკომ და ლეფტერმა.

△ **განაში** ტურნეს მართავს ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი — მოსკოვის „დინამო“. მორიგი საერთაშორისო ასპარეზობა დინამოელებმა გამართეს აშანტის პროვინციის ქ. სუნიანის საკლუბო გუნდის „ბორნგამფოს“ წინააღმდეგ. შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 4:2.

△ **ჩინეთის** სახალხო რესპუბლიკაში გამოდის მინსკის „ბელარუსი“ ფეხბურთელთა კოლექტივი. მორიგი მატჩი ბელორუსიის ფეხბურთელებმა ჩაატარეს. ქალაქ უჰანში ამ ქალაქის ნაკრებთან. 90 წუთში მოწინააღმდეგეებმა შეძლეს თითო ბურთის გატანა და ასპარეზობა დამთავრეს ფრედ 1:1.

△ **პოლონეთში** საერთაშორისო მატჩის გასამართავად იმყოფება ვილნიუსის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი. ქ. ელბლონგში სპარტაკელები შეხვდნენ ამ ქალაქის ნაკრებ გუნდს. მთელმა თამაშმა ისე განელო, რომ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ბურთის გატანა და შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

△ **არმაიის** ცენტრალური სასპორტო კლუბის (მოსკოვი) გუნდი რამდენიმე დღეა სტუმრად იმყოფება ინდონეზიაში. პირველი საერთაშორისო მატჩი საბჭოთა ფეხბურთელებმა გამართეს ჩრდილოეთ სუმატრის ქალაქ მედანის გუნდთან. შეჯიბრება აღინიშნა არმიელ ფეხბურთელთა უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 5:0.

საზღვარგარეთის სტადიონებზე

კოლმეურნე ცხენოსანთა ასპარეზობა

დელისის იპოდრომზე სპორტული ასპარეზობა მიმელდა, დამთავრდა საქართველოს საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ცხენოსნობაში.

საინტერესო იყო ფინალური შეჯიბრება ცხენბურთში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ჩოხატაურისა და გუდაუთის გუნდები. დასკვნითი ასპარეზობისათვის ჩოხატაურელები ოქეთ მომზადებული აღმოჩნდნენ, და გამარჯვებაც ანგარიშით 9:6 მათ ხვდათ წილად. ისინდში უძლიერესები იყვნენ ზუგდიდელები.

საერთო გუნდური მაჩვენებლების მიხედვით სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ ჩემპიონის წოდება მოიპოვა გუდაუთის რაიონის ცხენოსანთა კოლექტივმა, რომელსაც საზეიმოდ გადაეცა სპეციალური პრიზი.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ მიერ დაწესებული პრიზი — ცხენბურთში ყველაზე შეუდგენი მოთამაშისათვის — ხვდა ცხაკაიელ სპორტსმენს გ. ლაშქარავას.

ოქროს თასი — მოსკოვში

მ. ტალი მატჩ-რევანშის შესახებ

საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვებამ ლაიპციგში XIV საჭადრაკო ოლიმპიადაზე წარმატებით დაგვირგვინა ოლიმპიური 1960 წელი.

სპორტულ სამყაროს არ გაჰკვირვებია ჩვენი მოჭადრაკეების უდიდესი წარმატება. უცხოელთის პრესა აღნიშნავდა, რომ „ვარსკვლავებისაგან“ შემდგარი გუნდი არ შეიძლება არ გამხდარიყო ოლიმპიური ჩემპიონი. საბჭოთა მოჭადრაკეებმა 34 ქულა შეაგროვეს 44 შესაძლებლიდან და ხუთი ქულით ჩამოიტოვეს ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, რომელიც მთელი ოლიმპიადის მანძილზე კავლში უდგა ჩვენს გროსმაისტერებს; საბჭოთა გუნდის წარმატებას აცისკროვნებს ოლიმპიადების ისტორიაში მათი არნახული შედეგი — ოცევე შეხვედრის მოგება. ამაში თვითეულმა გროსმაისტერმა შეიტანა თავისი წვლილი: მ. ტალმა შეაგროვა 11 ქულა 15-დან, ტ. პეტროსიანმა — 12 ქულა 13-დან, ვ. სმისლოვმა 11,5 ქულა 13-დან, მ. ბოტვინიკმა, ა. კერესმა და ვ. კორჩნოიმ — 10,5 ქულა თვითეულმა 13-დან. ამიტომ ოქროს მედლები, რომლებიც გადაეცათ ჩვენს მოჭადრაკეებს, და საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ოქროს თასი, რომელიც კლავ ბრუნდება მოსკოვში, დამსახურებული საჩუქარია.

ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში მსოფლიო ჩემპიონმა მ. ტალმა განაცხადა:

ჩვენი გამარჯვების შესახებ ბევრი დაწერა. მე მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ თვითეული ჩვენგანი დიდად კმაყოფილია, რადგან ეს გამარჯვება დაემთხვა დიდი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულს. მხოლოდ საბჭოთა კავშირის სინამდვილეში შეიძლება ყოფილიყო გუნდი, რომელშიც ერთად თავმოყრილი იქნებოდნენ მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს ორი ყოფილი ჩემპიონი და სამი წამყვანი გროსმაისტერი.

გაინტერესებთ, როგორ თამაშობდა ბოტვინიკი და როგორი იქნება ჩვენი მატჩ-რევანში? კეთილი. ოლიმპიადა ბოტვინიკისათვის, ისევე როგორც ჩემთვის, საუკეთესო წვრთნა იყო. რასაკვირველია, ეს შეჯიბრება ბოტვინიკისათვის მომზადების არა უკანასკნელი, მაგრამ ნამდვილად მნიშვნელოვანი ეტაპია. საინტერესოა, რომ ოლიმპიადაზე ვიბილეთ „ძველი“ ბოტვინიკი, მისი რკინისებური თამაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი მდგომარეობა არც ერთ პარტიაში არ ყოფილა საეჭვო. იგი ერთხელაც არ შეუწუხებია ცაიტნოტს, რომელიც სულ-თამბუთავივით თავს დასტრიალებდა ჩვენს მატჩში. ყველაფერი ეს იმის საწინდარია, რომ მატჩ-რევანში უკიდურესად დაძაბული იქნება.

რაც შეეხება ჩემს თამაშს, მე დაგვიანებით ჩავედი ლაიპციგში, მაგრამ კოლეგებზე ორი პარტიით მეტი ვითამაშე. გამოვტუდები, რომ ერთადერთი დამარცხება, რომელიც ჩვენს მოჭადრაკეებს ჰქონდათ, მე მეკუთვნის. მომიგო პარტია ინგლისის ახალგაზრდა ჩემპიონმა პენროუზმა. თავის გასამართლებელი არაფერი მაქვს. ჩინებულად დამამარცხეს.



რა გეგმები მაქვს? პირველ რიგში მოვინახულო ჩემი ვაჟკაცი, რომელიც ახლა ერთი თვისაა. მას უკვე სახელიც მოუფიქრეს — გიორგი. შემდეგ, როგორც რედაქტორმა, უნდა მივხედო ეურნალ „შახის“ საქმეებს. ალბათ დამსვდება უკვე აწყობილი ბოტვინიკთან მატჩის შესახებ, რომელიც, ვფიქრობ, 1961 წლის დამდეგს გამოვა და რაც მთავარია, კარგად მოვემზადო მატჩ-რევანშისათვის.

მ. ბოტვინიკი

ვ. კორჩნოი

ა. კერესი

ორი კვირა „ერების ტურნირზე“

XIV ოლიმპიადის მრავალრიცხოვან მონაწილეთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ოთხი გროსმაისტერი. ესენი იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი ტალი და ის სამი მოჭადრაკე, რომელიც ადრე ატარებდა ამ წოდებას — ეოვე, ბოტვინიკი და სმისლოვი. მათ პარტიებზე „იყო“ კონცენტრირებული ასობით ეურნალისტისა და ათასობით მაყურებლის ყურადღება.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ტალი. ერთი ეურნალისტის გამოთქვამთ, მა ყოველდღიურად უხდება ხუთასამდე ავტოგრაფის მიცემა. გარდა ამისა, მსოფლიო ჩემპიონი თითქმის ყოველდღე თამაშობდა, არჩევდა გადადებულ პარტიებს, უპასუხებდა აუარებელ შეკითხვებზე, გამოდიოდა რადიოში, წერდა გაზეთებში. სწორედ ამიტომ ლაიპციგში ოხუნჯობდნენ—მსოფლიო ჩემპიონობა მაინცდამაინც სასიამოვნო როდიაო. ტალის პარტიებს აჩვენებდნენ რამდენიმე დაფაზე, მაგრამ ესეც არ აკმაყოფილებდათ „ხარბ“ მაყურებლებს.

დიდ ყურადღებას იპყრობდა ავრეთვე ბოტვინიკის ღრმა, სტრატეგიულად ნაფიქრი თამაში. როგორც საჭადრაკო მიმომხილველები აღნიშნავდნენ, მსოფლიო ექს-ჩემპიონი თანდათან იბრუნებს საბრძოლო ფორმას. ტალის აზრით — მომავალი მატჩ-რევანში ბევრად უფრო საინტერესო იქნება. სწორედ ასეთნაირად უპასუხა ტალმა გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ კორესპონდენტს კითხვაზე — მაისტერებსა და ეურნალისტებს ფლორს, ლილიენტალს, გელერს, რაგოზინს (საბჭოთა კავშირი), ტრიფუნოვიჩს (იუგოსლავია), ზემიშს (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ოლიმპიადაზე იყო აგრეთვე ცნობილი მოჭადრაკე ედუარდ ლასკერი (მსოფლიო ჩემპიონის მოგვარე), რომელიც 75 წლისაა და საკუთარი განცხადებით — თამაშობს უკვე 69 წელია. ლასკერი მოხიბლული იყო ოლიმპიადის ორგანიზაციით. ჭადრაკის ამ ტურნირის მონაწილენი. მხოლოდ ეიფა „ცოცხალი მატიანეს“ აზრით, ლაიციგის „ფულცივი“ ყოველგვარი მომავალი შეჯიბრებებისადმი. იგი ხანდაზმულობის აღემატება დღემდე ჩატარებულ ყოველ ამგვარ შეჯიბრებას.

ვ. სმისლოვი

ტ. პეტროსიანი

ერთ-ერთი დასვენების დღეს შეჯიბრების მონაწილეები ეწვივნენ „ხელოვნების ქალაქს“ — დრეზდენს. იყვნენ ლაიპციგის ოპერაშიც, სადაც მოისმინეს ლეონკავალოს „ჯამბაზები“. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარემ, ოლიმპიადის სპატრონ პრეზიდენტმა დოქტორმა ოიმანეს დიტმანმა მიიღო მონაწილეები, რომელთა სახელით მისასალმებელი სიტყვა გერმანულ ენაზე წარმოთქვა საბჭოთა გროსმაისტერმა კერესმა. დიტმანმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ოლიმპიადა დიდად შეუწყობს ხელს მთელი მსოფლიოს მოჭადრაკეთა შემდგომ დაახლოებას.

საჭადრაკო ბრძოლა ლაიციგში მიწყნარდა. როგორც ცნობილია, იგი საბჭოთა გროსმაისტერების ტრიუმფით დამთავრდა, მაგრამ ჭადრაკის მოყვარულები აქედანვე მოუთმენლად ელიან მომავალ შეჯიბრებას „უმაღლეს დონეზე“. გაიგლის რამდენიმე თვე და ოლიმპიადის ორი მონაწილე ტალი და ბოტვინიკი დაიწყებს თავის „საუკუნის მატჩს“.

გ. გამრეკელი.

XX ჩემპიონატის წინ

გუშინ რიგაში გაემგზავრნენ საქართველოს მოჭადრაკეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის XX ჩემპიონატში. როგორც ცნობილია, უძლიერესთა ამ დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გაფრინდაშვილმა, მ. ტოგონიძემ, ე. კაკაბაძემ და ა. ჩაიკოვსკაიამ.

ნ. გაფრინდაშვილმა, მ. ტოგონიძემ და ე. კაკაბაძემ შეკრება გაიარეს ლენინგრადში მწვრთნელების ვ. ქარსელაძისა და მ. შიშოვის ხელმძღვანელობით, ხოლო ა. ჩაიკოვსკაია თბილისში გადიოდა წვრთნას.

საკავშირო ჩემპიონატი რიგაში 15 ნოემბერს გაიხსნება.

ამინდი

14 და 15 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლადადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში ალაგ-ალაგ მცირე წვიმა, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3-8, დღისით 15-20 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვლადადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, დასავლეთის სუსტი, მტკვრის ხეობაში ზომიერი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 11-16 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით 7-12 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მჟელდიშვილი.

13 ნოემბერი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — სევილიელი დალაქი (დღისით), გორდა (საღამოს, მე-11 ამონ. მე-2 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ამერიკული ტრაგედია (დღისით და საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — თხუნელა (დღისით), დამოკლეს მახვილი (საღამოს), **სანკულტურის** — პროფესორ დოუელის თავი (ამონ. № 16), **რკინიგზელთა სახლი** — ცაგერის სახალხო თეატრის წარმოდგენა — ნატაყვიარი ჭადარი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ციცია (ამ. № 44, 12 ს., ამონ. № 9, 7 ს.), **რუსთაველის სახელობის ხაკონცერტო დარბაზი** — ლექცია-კონცერტი (ამონ. № 1, 3), **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

ტელევიზია: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — მხატვრული ფილმი — „გოგონა და ნიანგი“, 13.30 — ნაწყვეტი მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლიდან „ქაცი, რომელიც იცინის“, 14.00 — ინგლისური ენის გაკვეთილი, 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.20 — კინონარკვევი, 19.40 — მსახიობის გზა (რუსეთის სახალხო არტისტი ეკატერინე სატინა), 20.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.50 — მხატვრული ფილმი „ჯუზეპე ვერდი“.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშა ოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

უე 07901

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

მამაცნი არენაზე

ახალი საცირკო პროგრამა

ლენინგრადის ცირკის დარბაზი თითქმის დაცარიელდა. მხოლოდ თითო-ოროლა მუშა ფუსფუსებდა მანეჟზე, რომლებიც სწორედ ახლახანს მოჯირითე ცხენების ტორებისაგან აჩიჩქნილ ნახერხს ასწორებდნენ. არავის შეუმჩნევია ბოლო რიგში მჯდომი ქერა ყმაწვილი, ანთებული, ოდნავ შურიანი თვალით რომ უყურებდა მომუშავეებს.

ყმაწვილი ოცნებას გაეტაცა... იგი უცებ გამოერკვა. მის წინ სწორედ ის იდგა, ცნობილი ეოკეი ვასილ სობოლევსკი, რომელმაც რახანია თავისი მოჯირითეთა ჯგუფით მოხიბლა ყმაწვილი და მისი გული დაპატყვევა.

— ჩვენ მალე დავმეგობრდით, — ამბობს ოლეგი. — სათანადო წვრთნის შემდეგ ამისრულდა ოცნება და 1953 წელს პირველი ნათლობა მივიღე. მალე, როდესაც საბოლოოდ დავუკავშირე ჩემი ბედი საცირკო ხელოვნებას, შევაქმენი დამოუკიდებელი ნომერი ცნობილი საბჭოთა აკრობატის ივანე ჩიუევსკის ქალიშვილებთან ლილისა და ნინასთან ერთად.

— როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები მომავალში?

— ინსტიტუტში სწავლისას (მე ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი ვარ) დამებადა აზრი შემექმნა ორიგინალური, ჯგუფური აკრობატიკა ორძელზე. აღსანიშნავია, რომ დღემდე საცირკო ხელოვნებაში ორძელზე წმინდა აკრობატული ნომრები არავის შეუსრულებია...

* * *

ორკესტრის მხიარული მელოდიები მაყურებელს ამცნობს, რომ წარმოდგენა იწყება. არენაზეა მოვარჯიშე დ. პოდგაევსკი, რომელიც ჰაერში გუმბათთან აღმართულ ღერძზე შესანიშნავად, მეტად გაბედულად ასრულებს რთულ ილეთებს.

...მედოლე იძლევა ხაგანგაშო ნიშანს. დარბაზი დუმილს მოუცავს. თეორ რეტუუზში გამოწყობილი პოდგაევსკი კბილებით მაგრდება მოქანავე ღერძზე და აკეთებს ყირას.

აღტაცებული მაყურებელი ტაშის გრიალით აჯილდოებს მამაც მოვარჯიშეს...

მრავალფეროვნად და საინტერესოდ არის შედგენილი ახალი საცირკო პროგრამა, რომელიც რამდენიმე დღეა თბილისის სახელმწიფო ცირკში იდგმება. მაყურებელს ხიბლავს აკრობატ-ვოლტიორების ბელიაევების, ჩიუევსკების (ფრენა ბატუტით), ძაღლების მწვრთნელის ბისტროვას, ბორელის ოჯახის (ცლოუნადა) და ეონგლიორ მახლინის გამოსვლები. გრაციოზული და პლასტიკურია ე. ლაპინას ნომერი „კაუჩუკი“, ტემპერამენტიანი და სიცოცხლით აღსავსეა მოჯირითე ქალის ვ. ლერის გროტესკი ცხენზე. დამსწრეთა სიცილს იწვევს მსახიობების ვედერნიკოვისა და შაიდერის გამოსვლები პაუზებში.

თორმეტი წარმოდგენა, ხალხით გაჭედილი დარბაზი, ოცდათუთმეტი ათასი აღტაცებული მაყურებელი. მოსკოვის წარმოდგენამ „ბალეტი ყინულზე“ გული გაუთბო თბილისელ მაყურებელს. რა აღტაცებით ხვდებიან ისინი პროგრამის თვითეულ ნომერს, რომელშიც გაბედულად და ნათლად არის განსახიერებული ქორეოგრაფიული ხელოვნების შესანიშნავი ჰარმონია და მაღალი სპორტული ოსტატობა! რამდენი სიკოხტავე, მოხდენილობა და ახალგაზრდული მომხიბვლელობა შემოაქვს სცენაზე ბალეტის შესანიშნავ სოლისტს ირინა გოლოშჩაპოვას, რა მხიარულ მგზნებარებას, გადამდებ სიხალისესა და ტემპერამენტს ჰმატებს წარმოდგენას გალინა ბესკინა.

კორდებალეტის არტისტების საუცხოო შეწყობილობა, თვითეული ეტაკის ხასიათის შეგრძნების უნარი დიდად უწყობს ხელს პროგრამის მრავალფეროვნებას. მოხდენილმა ეტაკებმა, — „პინგვინები“, „ვალსი საიგეგორაზე“ და „გაწვრთნილი ცხენები“, გამოიწვიეს მაყურებელთა აღტაცებული აპლოდისმენტები.

* * *

სურათზე: „გაწვრთნილი ცხენების“ ეტაკი.

ფოტო ბ. დადვაძისა.

ვ. ვ. ვოროვინის დაკრძალვის მოგონებები კომისიისაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპეციალურ აკადემიკოსის ვ. ვ. ვოროვინის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება ა/წ. 13 და 14 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ბინაზე — გლდანის ქ. № 23.

გამოსვენება 16 ნოემბერს დღის 4 ს. საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ილია ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლიდან (რუსთაველის პროსპექტი № 2 ეკის პანთეონში).